ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 15 ოქტომბერი, 2020 №216 (8480) ფასი: 60 თეთრი

„გური ამირხანაშვილს ძმაკაცი რომ მოეძებნა, გიორგი შაქარაშვილი ცოცხალი იქნებოდა“

გვ.5

„არჩილ თალაკვაძე ჩვეულებრივ ჯამბაზად იქცა“

სერგო რატიანი: „რთულია პროგნოზირება, რა მოიხარშება ივანიშვილის ტვინში, მაგრამ თუ არანორმალურ გადაწყვეტილებას მიიღებს, ყოფილი მილიარდერი გახდება“

გვ.4

„ივანიშვილმა ამოწურა ყველა პოლიტიკური დაპირება“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილმა შეიძლება გააყალბოს არჩევნები და ძალადობას მიმართოს. რაც შეეხება სააკაშვილს, ის ხელისუფლებაში არ არის და არჩევნებს ოპოზიციიდან ვერ გააყალბებს“

სადღობელაშვილი: „არ გამოვრიცხავ, უეცრად გადადონ არჩევნები“

გვ.3

შოთა მალაშხია: „დღეში 500-ზე მეტი ინფიცირებული, ესაა გახარიას ეფექტური მენეჯმენტი?!“

გვ.4

ახალი ჩვენებები კარტოგრაფების საქმეში

ნოდარ ხორბალაძე: „ჩემსა და ივერი მელაშვილს შორის საუბარი დაიძაბა“

გვ.5



ISSN 1987-9385

5 მარნეულში სკოლის დირექტორს 11 წლის მოსწავლის ცემაში ადანაშაულებენ

2 გიორგი ვაშაძის პარტიამ ტვ პირველთან 1 მილიონი ლარის ხელშეკრულება დადო

2 „საყდრისის ამფეთქებელი ძალა დავით გარეჯის პატრიოტი ძალაა?!“

6 ალიევი: „სომხეთის ოკუპაციისგან კიდევ 8 სოფელი გათავისუფლდა“

„საყდრისის ამფეთქებელი ძალა დავით გარეჯის პატრიოტი ძალაა?!“

რას ფიქრობს გიორგი მარგველაშვილი

– საყდრისის ამფეთქებელი პოლიტიკური ძალა დავით გარეჯის პატრიოტი პოლიტიკური ძალაა?! ეს არის ის პოლიტიკური ძალა, რომელიც იგონებს ხოლმე, რომ რაღაც ღირებულებები გააჩნია.

ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „რეზიუმეში“ დავით გარეჯის საქმის კონტექსტში განაცხადა.

მისი თქმით, დავით გარეჯის ირგვლივ მიმდინარე გამოძიების თემა ორი ნაწილისგან შედგება, რომელთაგან ერთი გამოძიებას უკავშირდება, მეორე კი – პოლიტიკას.

– ამ საქმის პოლიტიკურ ნაწილს აქვს შემდეგი შემადგენელი: პირველი – რა დროს ხდება ეს და ამაზე ჩვენ ნათელი პასუხი გვაქვს, რომ ეს ხდება არჩევნების წინ სულ რამდენიმე კვირით ადრე. მეორე – ვინ აკეთებს ამას და, ჩემი აზრით, საქართველოს მოქალაქეებისთვის ძალიან გარკვეული და ნათელია, ეს არის პოლიტიკური ძალა, რომელმაც თავის დროზე დაიწყო თავისი იდეოლოგიური კარიერა „ტრაქტორების საქმით“, როდესაც ამის უკან იყო პოლიტიკოსი, რომელზეც საჭირო იყო დარტყმა, სამწუხაროდ, ჩვენი მაშინდელი გუნდის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მინისტრი, დათო კირვალიძე.

შემდეგ იყო საქმე, რომელიც უკავშირდებოდა ე.წ კაბელებს, როდესაც დადგა საჭიროება ალასანიასთან დაპირისპირების. მერე ეს საქმეები გაგრძელდა ბურჭულაძის საქმით, „თიბისის“ საქმით ანუ საქმეებით, რომლებიც, მარტივად რომ ვთქვათ, იყო შემდეგი ფორმატით შეკერილი და არც ერთი ეს საქმე არ შედგა.

ეს არის პოლიტიკური ძალა, რომელიც ხან გადაწყვეტს, რომ კორუფციას ებრძვის და მოდი დავარტყათ კირვალიძეს და ალასანიასო, ხან გადაწყვეტს, რომ ებრძვის იმ ადამიანებს, რომლებიც თითქოს რაღაცას ითვისებენ, ეს არის ის პოლიტიკური ძალა, რომელიც იგონებს ხოლმე, რომ რაღაც ღირებულებები გააჩნია. საყდრისის ამფეთქებელი პოლიტიკური ძალა დავით გარეჯის პატრიოტი პოლიტიკური ძალაა?!

ძალიან საინტერესოა ამ ადამიანების სპეციფიკა – ეტყვიან, რომ დღეს პატრიოტი ხარ, კი ბატონო, დღეს პატრიოტი ვარ და მოდი ახლა, დავით გარეჯის თემას გავქაჩავ. შეუკვეთავენ პატრიოტიზმს, და ამ პატრიოტიზმის შედეგად ხდება ადამიანების დაჭერა, ყოველგვარი მტკიცე საფუძვლის გარეშე, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ირაკლი ბერაია: „ნაცმოძრაობის მოკავშირე კუბილიუსი ქართულ საზოგადოებას აოცებს“

– ნაცმოძრაობის მოკავშირე კუბილიუსი აგრძელებს ქართული საზოგადოების გაოცებას რეალობას აცდენილი გამონათქვამებით.

ასე ეხმაურება პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბერაია ევროპარლამენტარ ანდრიუს კუბილიუსის განცხადებას დავით გარეჯის საქმესთან დაკავშირებით.

ბერაიას თქმით, კუბილიუსის კომენტარი სასაცილოა.

„შემაშფოთებელია, როდესაც ის სასაცილოს უწოდებს საქართველოს წინააღმდეგ მძიმე დანაშაულში ბრალდებულების დაკავებას. საინტერესოა, რა რეაქცია ექნებოდა, იგივე რომ მის ქვეყანაში მომხდარიყო. კიდევ უფრო გაუგებარია მისი მხრიდან პანდემიის საწინააღმდეგო ნაბიჯების და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სრულიად უსაფუძვლო, მიკერძოებული შეფასება.

კუბილიუსს შევახსენებ, რომ მასზე ბევრად მაღალი რანგის და ბევრად ავტორიტეტული პოლიტიკოსები და ოფიციალური პირები როგორც ევროკავშირში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, აღიარებენ და მაღალ შეფასებას აძლევენ ერთი მხრივ, საქართველოში პანდემიის საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯების ეფექტიანობას და მეორე მხრივ, ქართული ეკონომიკის მდგრადობას. შესაბამისად, ერთადერთი რამ, რაც სასაცილოა, თავად კუბილიუსის კომენტარია“ – განაცხადა ბერაიამ, რომლის კომენტარსაც პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს.

ევროპარლამენტარმა ანდრიუს კუბილიუსმა მანამდე ტვიტერში დაწერა:

„საქართველოს ხელისუფლებამ „აზერბაიჯანისთვის მიწის უკანონო გადაცემისთვის“ ორი საჯარო მოხელე დააკავა. შენიშვნისთვის – აღნიშნული მოვლენები ჯერ კიდევ 2007 წელს მოხდა. სასაცილოა. „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ ოპოზიციას იმის გამო ადანაშაულებს, რომ რეალური პრობლემებიდან – პანდემიის მიმართ ცუდი რეაგირებისა და შეჩერებული ეკონომიკისგან – ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს.“

დავით ხიდაშელი: „ვცხოვრობ შვეიცარიაში და მაქვს ბიზნესები მსოფლიოს 40 ქვეყანაში“

ბიზნესმენი დავით ხიდაშელი, რომელმაც საქართველოს 1938 წლის რუკის დედანი დაუბრუნა, ექსკლუზიურად „ღამის კურიერის“ ეთერში მისი საქმიანობის შესახებ საუბრობს.

დავით გარეჯის საქმის ფიგურანტი ამბობს, რომ ის მსოფლიოს 40 ქვეყანაში ფლობს ბიზნესებს.

– დავით ხიდაშელი არის საქართველოს მოქალაქე. არასდროს არ ვყოფილვარ სხვა ქვეყნის მოქალაქე. 25 წელია შვეიცარიაში ვცხოვრობ. ვარ ბიზნესმენი, მაქვს ბიზნესები მსოფლიოს 40 ქვეყანაში. ძალიან მრავალფეროვანი ბიზნესი მაქვს. არის სატელეკომუნიკაციო ბიზნესი, მედიცინის ბიზნესი, ბიოტექნოლოგიების ბიზნესი. ვფლობ ამ ბიზნესებს, ზოგჯერ ვმართავდი, მაგრამ დღესდღეობით, 100 პროცენტით ვმუშაობ ჩემზე.

საბერძნეთში მე ვარ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ბერძნული კომპანიაა „ინტერ კომ ტელეკომის“ და 15-20 პროცენტი ჩემი ბიზნესია. სხვა ბიზნესებიცაა. რუსულ კორპორაცია „სისტემის“ ჩემი მეგობარია ამ კომპანიის მფლობელი, რომელსაც ვიცნობ 30 წელზე მეტია, მაგ ორგანიზაციაში მუშაობას დავანებე თავი 2014 წელს, ვინაიდან რუსეთის მთავრობამ შეუქმნა პრობლემები და კომპანიას როცა ჰქონდა 35 მილიარდი ბრუნვა, მისი ბრუნვა ჩამოვარდა 8-10 მილიარდ დოლარზე მაშინვე, – აცხადებს დავით ხიდაშელი.

„სტუდენტები აუდიტორიებში 19 ოქტომბერს დაბრუნდებიან, თუმცა...“

დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის თქმით, სტუდენტები უნივერსიტეტში 19 ოქტომბერს დაბრუნდებიან, როგორც ეს 28 სექტემბერს გადაწყდა.

– სტუდენტების აუდიტორიებში დაბრუნების გადაწყვეტილება ძალაში რჩება. თუმცაღა ამ საკითხზე მსჯელობა სულ მიმდინარეობს და ეტაპობრივად ყველაფერს შეგატყობინებთ, – ამბობს გამყრელიძე.

გიგა ბოკერია: „არმომხდარ ფაქტს 2 უდანაშაულო ადამიანი ეწირება“

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია თვლის, რომ რაშიც საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დამდგენი კომისიის წევრებს ბრალს სდებენ, არც კი მომხდარა.

– არ არსებობს დანაშაულის არც ფაქტი და არც მოტივი, – განაცხადა მან.

ბოკერია განმარტავს, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დავით გარეჯის სადავო მონაკვეთზე არავითარი შეთანხმება მიღწეული არ არის და არმომხდარ ფაქტს ორი უდანაშაულო ადამიანი ეწირება.

მისივე თქმით, დავით გარეჯის გაყიდვაზე საუბარი სიცრუე და უტიფრობაა.

– ამ რეჟიმის სტანდარტებითაც კი, ეს არის ყველაზე უფრო სამარცხვინო შემთხვევა, როცა ორი უდანაშაულო და პატრიოტი ადამიანი, რომლებიც წლების განმავლობაში ქვეყანას ემსახურებოდნენ და ეროვნულ ინტერესებს იცავდნენ, არიან უკანონოდ ციხეში და მხოლოდ იმისთვის, რომ აგორდეს ბინძური კამპანია ოპოზიციის დემონიზებისთვის, შავ-თეთრი სურათის ჩვენებისთვის, პოლარიზებისთვის.

ეს ხდება პირდაპირ პროპუტინური ჯგუფების, ბიზნესმენების და, სამწუხაროდ, ზოგიერთი სასულიერო პირის გამოყენებით. ძალიან მკაფიო მაგალითი გვაქვს, როცა ივანიშვილის რეჟიმი და პროპუტინული ძალები ერთ სულ და ერთ ხორც არიან – არ ერიდებიან არაფერს, მათთვის ფაქტებს მნიშვნელობა არა აქვს, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

„ქართული ოცნების“ მთავარი კონკურენტი ყოველთვის ისევ „ქართული ოცნებაა“

პარლამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა „ქართული ოცნებიდან“ გიორგი ვოლსკიმ „დღის კურიერის“ ეთერში განაცხადა, რომ ქვეყანაში და კონკრეტულად კი მის ოლქში, ამომრჩევლებისთვის მთავარი პრობლემა პოლიტიკურ ველზე არსებული არეულობაა.

– დიდუბე-ჩუღურეთის ოლქში რეალური პრობლემა არის ის, რომ არეულობაა პოლიტიკურ ველზე და ხვალინდელი დღის სტაბილურობის განცდის დანგრევას ცდილობს ყველა, მათ შორის ჩვენი ოპონენტები. მოსაგვარებელია, მაგრამ მოძველდა სოციალურ თემებზე საუბარი. ეს თემა მნიშვნელოვანია, მაგრამ არის მეორე თემა – სამშობლო, ქვეყანა, სტაბილურობა და ის საფრთხეები, რაც ჩვენ გარედან თუ შიგნიდან შემოგვესია.

ამ საკითხებზე ამომრჩევლები ხშირად საუბრობენ. საზოგადოება ქვეყნის სამშვიდობოზე გაყვანას ითხოვს. ასევე არის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მაგრამ არავინ არ დაუშვას, რომ საზოგადოებას არ ესმის, რა ხდება ჩვენ გარშემო, – აღნიშნა გიორგი ვოლსკიმ.

ვის თვლის გიორგი ვოლსკი არჩევნებში მთავარ კონკურენტად?

ამ კითხვას დეპუტატობის კანდიდატი ასე პასუხობს:

– „ქართული ოცნების“ კონკურენტი ყოველთვის ისევ „ქართული ოცნებაა“ თავისი შეცდომებით, მაგრამ ჩვენ საზოგადოების დიდი იმედი გვაქვს, რომელიც ხედავს, რომ ეს არის პოლიტიკური თავდადებული ძალა თავისი ქვეყნისთვის.

გიორგი ვაშაძის პარტიამ ტვ პირველთან 1 მილიონი ლარის ხელშეკრულება დადო

გიორგი ვაშაძის გაერთიანებამ, სტრატეგია აღმაშენებელმა ტვ პირველთან 1 მილიონი ლარის ხელშეკრულება დადო. ინფორმაცია გაერთიანების დეკლარაციაშია ასახული.

ტვ პირველში რადიო თავისუფლებას უთხრეს, რომ მან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ნახევარი უკვე აითვისა და შესაბამისი თანხაც გადაიხადა.

ამ ეტაპზე ზუსტად უცნობია, ჯამში რამდენი წუთის განმავლობაში გადიოდა ამ არხზე მისი რეკლამა, რადგან ფასი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რა გადაცემაში გადიოდა სარეკლამო რგოლი.

– მაქსიმალური თანხა ავიღეთ და ნახევარზე გავჩერდით. მეტი რომ არ გვაქვს, ვეღარ ვიხდით, გაგვიჩერდა რეკლამა. ჩვენ ველოდებით შემომწირველებს, იქნებ, ვინმე გამოჩნდეს, – უთხრა სტრატეგია აღმაშენებლის პოლიტსაბჭოს წევრმა, დავით ცეკვავამ რადიო თავისუფლებას.

1-21 სექტემბრის ფარგლებში შევსებული დეკლარაციის მიხედვით, გიორგი ვაშაძის გაერთიანებამ 2.027.870 ლარის სარეკლამო ხელშეკრულებები დადო. ტვ პირველის შემდეგ ყველაზე მეტი თანხა ბილბორდების განთავსებაში იხარჯება.

რაც შეეხება მედიასაშუალებებს, მას სარეკლამო ხელშეკრულებები დადებული ჰქონდა ფორმულასთან (150 ათასი), კავკასიასთან (31 ათასი), გაზეთებთან – ალია და კვირის ქრონიკა (5 ათასი ლარი).

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

ფინანსთა სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილმა ამოწურა ყველა პოლიტიკური დაპირება“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილმა შეიძლება გააყალბოს არჩევნები და ძალადობას მიმართოს. რაც შეეხება სააკაშვილს, ის ხელისუფლებაში არ არის და არჩევნებს ოპოზიციიდან ვერ გააყალბებს“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციამ 150 პარლამენტარის სიის ნაცვლად 150 პრემიერობის კანდიდატი წარადგინა. ის აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ოპოზიცია შეთანხმებას ვერ შეძლებს. რას უპასუხებთ?

– თითქმის პროპორციული არჩევნებია, მრავალპარტიული არჩევნები. შესაბამისად, ყველა პარტიას ჰყავს ლიდერი და პრემიერობის კანდიდატიც. ნაპოლეონის სიტყვების არ იყოს – რა ვუთხარი იმ ჯარისკაცს, ვინც გენერლობაზე არ ოცნებობს! პრემიერის დასახელება ეს არის ევროპული სტანდარტი. როდესაც შეთანხმება იქნება საჭირო, შევთანხმდებით. პრემიერობის კანდიდატების დასახელებაში მე ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. საბოლოო ჯამში, აქ გადამწყვეტი არის ის საარჩევნო მოდელი, რომელიც მივიღეთ. 51% არის საჭირო მთავრობის ჩამოსაყალიბებლად, რასაც ვერც ერთი ცალკე აღებული პარტია ვერ შეძლებს. ამას ვერ შეძლებს ვერც ხელისუფლება და ვერც ოპოზიცია. რაოდენ დიდი ამბიციაც არ უნდა ჰქონდეს ან ივანიშვილს, ან სააკაშვილს.

ერთადერთი, ვისაც ამის გადამეტებული ოცნება აქვს, ეს ივანიშვილია და ამისთვის მან შეიძლება გაყალბებასა და ძალადობას მიმართოს. რაც შეეხება სააკაშვილს, ის ხელისუფლებაში არ არის და არჩევნებს ოპოზიციიდან ვერ გააყალბებს.

– ელოდებით გაყალბებას?

– ეს ძალიან მძიმედ დაამთავრებს ივანიშვილს პოლიტიკურადაც და სხვა მიმართულებითაც. ამიტომ, გამოვრიცხავ, უმრავლესობის აღებაზე იფიქროს ივანიშვილმა.

– თუმცა, თუნდაც თალაკვაძე ამ განცხადებაში ოპოზიციის ერთ ნაწილზე საუბრობს. გამორიცხავთ, სწორედ ის მეორე ნაწილი მოკავშირედ ეგულებოდეთ და მათთან ერთად ქმნიან კოალიციას?

– გარდა „პატრიოტთა ალიანსისა“, ივანიშვილთან დღემდე განცხადებული პოზიციებით, არავინ არ აპირებს ივანიშვილთან კოალიციის შეკვრას. ეს უბრალოდ საკუთარი პოლიტიკური სამარის გათხრა იქნებოდა საკუთარივე ხელით.

– ასეთი დარწმუნებული რატომ ხართ?

– თუ საზოგადოება იქნება აქტიური და ის მოვა არჩევნებზე და თავის პოზიციას დაფიქსირებს, მაშინ ივანიშვილი იქნება ამ ქვეყნის წარსული. ეს არის რეალობა და ეს არის შესაძლებელი. მით უფრო იმ ეპიდემიოლოგიური კრახის ფონზე, რომელიც დღეს სახეზე გვაქვს. ადამიანები დაზაფრულები არიან, გაურკვევლობაში არიან, როდესაც ხედავენ, არაფერს აკეთებს მთავრობა, სრულიად არის პროცესის მართვა მოშლილი და მიშვებული. გაზაფხულზე უკიდურესი ჩაკეტვის ფონზე, დღეს რასაც ვუყურებთ, ეს არის სრული ამოვარდნა.

– თქვენ რითი ხსნით ამას?

– მხოლოდ პოლიტიკით. რუსეთი არ გავაღიზიანოთ გახსოვთ?! ამ შემთხვევაში ამომრჩეველი არ გავაღიზიანოთ! სავარაუდოდ, შეგნებულად ხდება ეპიდემიური სურათის დამძიმება.

– და რაში აწყობთ?

– რომ მოსახლეობაში იყოს შიში, ამით კი ხელი შეუშალონ არჩევნებს, რომ ამომრჩეველი ნაკლებად იყოს აქტიური და, რაც მთავარია, ამით ხელი შეუშალონ პოსტსაარჩევნო აქტივობას. ადამიანები ძალიან მოტივირებულები არიან და უსაფრთხოების ნორმების დაცვით, პირბადეების გამოყენებას და დისტანციას ვგულისხმობ, აუცილებლად მივლენ არჩევნებზე. დარწმუნებული ვარ, თუ ხმების დაცვა დაგვჭირდება, ხალხი ქუჩაშიც გამოვა. ამის კარგი მაგალითი ბოლარუსმა მოგვცა.

– ოპოზიცია შეიძლება ქუჩაში გავიდეს?

– ყველაფერი დამოკიდებულია მოქალაქეების მაღალ აქტივობაზე, რადგან მაღალი აქტივობის დროს ხელისუფლება ნაკლებად გაბედავს არჩევნების გაყალბებას. ყოველგვარ ზღვარს თუ გადავლენ და ასლან აბაშიძის მეთოდებით მოხდება ჩარევა, მაშინ ეს ყველაფერი ქუჩაში დასრულდება მშვიდობიანი აქციებით.

– ხალხი გამოვა?

– გამოვა. მიუხედავად ვირუსის გამწვავებისა და ხელისუფლების უმოქმედობისა. სწორედ ამიტომ უფრო გამოვა ხალხი.

– თუმცა, „ქართული ოცნება“ არჩევნების მოგებას აპირებს. ისინი ქვეყნის მომავალ ეკონომიკურ გეგმაზე საუბრობენ.

– „ქართულ ოცნებას“ არანაირი ეკონომიკური გეგმა არ გააჩნია. ივანიშვილმა ამოწურა კაცობრიობის მიერ მოგონილი ყველა პოლიტიკური დაპირება და ახლა, ახალ დაპირებებსაც კი ვეღარ იგონებს, არათუ გეგმებს. ამ მხრივ მართლაც რომ ორიგინალურია სახელისუფლო პარტიის საარჩევნო კამპანია. ივანიშვილს აღარ დარჩა არც ერთი დაპირება. რაც მთავარია, მას არ აქვს სათქმელი, რომელიც შეუძლია ხალხს უთხრას. დარწმუნებული ვარ, არათუ ერთპიროვნულად შეძლებენ მთავრობის ფორმირებას, კოალიციასაც კი ვერ შეკრავენ ვერავისთან. „პატრიოტთა ალიანსის“ ხმებიც კი არ ეყოფათ, რომელიც მათი რადიკალური დაჯგუფებაა.

„არ გამოვრიცხავ, უეცრად გადადონ არჩევნები“

ლადო სადღობელაშვილი: „ფანტასტიკის სფეროდ მიმაჩნია ვაშაძე პრემიერად, მაგრამ მე ვიცი ერთი ცხადზე ცხადი რამ, რომ ვაშაძესა და გახარიასაც ჰყავს ერთი ფინანსური ზურგი და ეს ფინანსური ზურგი არის ვანო ჩხარტიშვილი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

– ლადო, ახლოვდება არჩევნები და ამ ფონზე პარალელურად რთულდება ვითარება პანდემიის თვალსაზრისით. ეპიდემიოლოგები აცხადებენ, რომ მოსახლეობას ვერ წავართმევთ ხმის მიცემის უფლებასო. ამავდროულად მოგვიწოდებენ, რომ დავრჩეთ სახლში. რა ხდება, ახალ სცენარს ათამაშებს ხელისუფლება, რომ რაც შეიძლება ცოტა ხალხი მივიდეს არჩევნებზე?

– დიახ, ძალიან საინტერესო განცხადებებს ვისმენთ სამედიცინო პერსონალისგან. მაგალითად, ცერცვაძისგან მოვისმინე ასეთი განცხადება, რომ ვითარება არის ძალიან რთული, რიგ ქვეყნებში ამის გამო გადაიდო არჩევნები, მაგრამ ჩვენთან მაინც ჩატარდება. ვერ გავიგე, რა ხდება, რას გვამადლიან, რომ არჩევნები არ გადადეს?!

– ეს რას ნიშნავს, რა ქვეტექსტებია?

– სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები და ჯანდაცვის მესვეურთა განცხადებებიდან გამომდინარე, არ ვარ ღრმად დარწმუნებული, რომ არჩევნებს არ გადადებენ. ასევე ცალსახაა ის, რომ მათ სურთ პანიკის დათესვა, ეს ე.წ. კაკებეშნიკური მეთოდი, ჭორების გავრცელების და აურზაურის შექმნის, მეტად აქტუალური პროცესია, უკვე აპრობირებულია. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, როგორ ჩატარდება არჩევნები, ან იმ ადამიანებთან როგორ აპირებენ არჩევნების ჩატარებას, რომლებიც კარანტინში არიან?! ვხედავთ, რომ ეს რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება, კარანტინში მყოფთა და დაავადებულთა რიცხვი. აქვე ჩნდება ტერმინი, უსიმპტომო პაციენტები. არაფერი არ სჭირთ, მაგრამ მაინც სასტუმროებში ჰყავთ გამოკეტილი. ევროპაში, უსიმპტომო ადამიანებს სახლში უშვებდნენ და აიძულებდნენ სახლში ყოფნას. ჩვენთან, რატომღაც სასტუმროებში ჰყავთ გამოკეტილი. უპირველეს ყოვლისა, ეს მიანიშნებს იმას, რომ ამუშავებენ თავიანთ საახლობლოს და მათი ბიზნესპარტნიორების სასტუმროებს და მეორე, ლოკალიზებული ჰყავთ ეს ხალხი.

– უკვე ვისმენთ ტერმინებს, დარჩი სახლში, იმუშავეთ დისტანციურად. ეს რისი ნიშანია, რომ შესაძლოა არჩევნების შემდეგ ერთბაშად მივიღოთ მკაცრი რეგულაციები?

– მე მყავს ნაცნობები სხვადასხვა დაწესებულებებში და ვიცი, ნამდვილი სურათი რა არის. ის სურათი კი არა, რასაც ტელევიზიით გადმოსცემენ, არამედ ის სურათი, რაც რეალურად არის. ბოლო ერთი თვის განმავლობაში გვესმოდა განცხადებები, რომ ბათუმში ვითარება მკვეთრადაა დამძიმებული. იქ სხვადასხვა რეგულაციები შემოიღეს. კი, რთული ვითარება არის, თუმცა არც ისეთი საგანგაშო, როგორც ესენი გვიხატავენ. ნამდვილად არ არის ბათუმში კატასტროფული ვითარება.

– მაშინ რისთვის სჭირდებათ ეს?

– მე, სხვათა შორის, ვიცი წინასწარი ციფრები, პროცენტული მაჩვენებლები პარტიების,

ამა თუ იმ რეგიონში და ისიც ძალიან კარგად ვიცი, რომ ბათუმში მკვეთრად ოპოზიციურ განწყობაა და სწორედ ამიტომაა იქ ეს გართულებული ვითარება. რატომ სამეგრელოზე არ საუბრობენ ასე, ან კახეთზე?!

– რისი თქმა გინდა, რომელ რეგიონშიც ეშინიათ, რომ წააგებენ, იქ ამწვავებენ ვითარებას?

– დიახ, დიახ. რომელ რეგიონშიც ეშინიათ, რომ წააგებენ არჩევნებს, ან ვერ მოიგებენ ისე, როგორც საჭიროა, მაშინ გაამწვავებენ სიტუაციას. იგივე ვითარებაა ახლა თბილისში. მათ ძალიან კარგად იციან თბილისელების განწყობა ხელისუფლებასთან მიმართებაში და ახლა საუბარი იმაზე, რომ თბილისს მოიგებენ, ცოტა მეეჭვება.

– ბოლო კვლევების მიხედვით 37% აქვს „ქართულ ოცნებას“...

– ეს არის რეალური ციფრი. 41-43% არის „ოცნების“ მაქსიმუმი. თუმცა, როდესაც ადამიანი იღებს 43%-ს, იმ სახლში დარჩენილი ხმებით, ის 43% იქცევა 50%-ზე მეტ პროცენტად. სწორედ ამაზე მუშაობენ, რომ რაც შეიძლება ნაკლები ამომრჩეველი მივიდეს. ეს არის ამ ხელისუფლების მიზანი, რომ აქტივობა იყოს დაბალი. ანგაჟირებული ამომრჩეველი მივა, ხოლო ის, ვისაც არც ერთი პარტია არ მოსწონს და არჩევნებზე მიდიოდა იმისთვის, რომ ყველა გადაეხახა, ახლა დარჩება სახლში იმის შიშით, რომ არ დაინფიცირდეს. რას ცდილობს ხელისუფლება და რისი მიღწევა უნდათ, ეს კიდევ კითხვებს იწვევს. არ გამოვრიცხავ, უეცრად გადადონ კიდეც არჩევნები. გადადება, წესით, ოპოზიციასაც უნდა აწყობდეს, დღეს მათ ძალიან დაბალი რეიტინგი აქვთ. თუმცა ამ ბოლო კვლევებმა სულ მთლად გააგიჟა ოპოზიცია და მათ მართლა ჰგონიათ, რომ 37%-ზე მეტს ვერ მოაგროვებს „ქართული ოცნება“?!

– ოპოზიცია აცხადებს, რომ ჩვენ, ჯამში, გაცილებით მეტს მოვაგროვებთო. ასე არ არის?

– შეიძლება ოპოზიცია მართალია, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ გაუყალბებელი არჩევნები ჩატარდა. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ხელისუფლებას ათასი ხერხი აქვს მანიპულაციის. მათ შორის, იგივე აქტივობის დაცემა. აქტივობის დაცემა პირდაპირპროპორციულია იმის, რომ ხელისუფლების საბოლოო პროცენტი იქნება გაცილებით მაღალი.

– გამოდის ინფორმაციები, რომ ივანიშვილი ითხოვს ერთპიროვნულ გამარჯვებას, საკონსტიტუციო უმრავლესობითო.

– არა მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი საკონსტიტუციო უმრავლესობას ითხოვდეს, თუმცა მაქსიმალური უმრავლესობით რომ აღმოჩნდნენ პარლამენტში, ეს მოთხოვნა მართლაც არის. ეს მოთხოვნა მარტო ბიძინასგან არ უნდა მოდიოდეს, წესით, ამას გახარიაც უნდა ითხოვდეს. იმისთვის, რომ შენარჩუნდეს გახარია პრემიერად, ამისთვის საჭიროა დიდი უმრავლესობით მოსვლა.

– გამოითქვა ასეთი ვარაუდიც, რომ შესაძლოა „ოცნებამ“ პრემიერის პოსტი დათმოსო. ამაზე რას იტყვი?

– ეს ერთადერთი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სახელისუფლო გუნდს დასჭირდა კოალიციაში შესვლა. იქნება ეს ფორმალური თუ არაფორმალური კოალიცია, ამას მნიშვნელობა არ აქვს.

– ამ შემთხვევაში გიორგი ვაშაძის ვარიანტი შეიძლება შემოგვთავაზონ?

– მე ცოტა ფანტასტიკის სფეროდ მიმაჩნია ვაშაძე პრემიერად, მაგრამ მე ვიცი ერთი ცხადზე ცხადი რამ, რომ ვაშაძესა და გახარიასაც ჰყავს ერთი ფინანსური ზურგი და ეს ფინანსური ზურგი არის ვანო ჩხარტიშვილი. საერთო კაპიტალია მათ ზურგს უკან. ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავსო და ასეა ამ შემთხვევაშიც. მე მაინც გახარიას პრემიერობისკენ ვიხრები. გახარია და ვაშაძე, ეს ორი სრულიად სხვადასხვა მოცემულობაა და პოპულისტი ვაშაძე ვერც მოვა გახარიასთან. თუ ვიხილავთ კოალიციურ მთავრობას, არ გამოვრიცხავ, რომ ეს ვიხილოთ გახარიას პირობებში. როდესაც კოალიციურ მთავრობაზე ვსაუბრობთ, ერთ-ერთ ვარიანტად ლელოც უნდა განვიხილოთ, ოღონდ ამ შემთხვევაში, ივანიშვილმა ჩხარტიშვილი უნდა ჩამოიშოროს. ლელოს ხელისუფლებასთან ურჩევნია კოალიცია, ვიდრე ნაცებთან. არ დაგვავიწყდეს, რომ ლელოშია უსუფაშვილიც, რომელიც ივანიშვილის პროდუქტია. ასევე არიან „ოცნებიდან“ წასულებიც. ძალიან ბევრ შესაძლო ვარიანტზე მუშაობენ შიგნით, ვნახოთ, დაველოდოთ. ასევე ხაზგასასმელია „ოცნების“ საპარლამენტო სია. იქ მე გახარიას ვერც ერთი კადრი ვერ ამოვიცანი.

– ეს საით მიანიშნებს?

– იქით, რომ გახარიას დიდი ხანი პრემიერობა არ უწერია. ის იქნება გარდამავალი პრემიერი. ახალი პარლამენტი, რომელიც მოვა, ალბათ ის აირჩევს ახალ პრემიერს. სწორედ კორონა ვირუსმა შეუწყო ხელი მის დიდი ხნით გაჩერებას პრემიერის პოსტზე. კოალიციას რაც შეეხება, ეს არის ერთადერთი ვარიანტი გახარიას გარეშე, ლელოსთან ერთად.

– ლადო, ამ ყველაფრის პარალელურად ასევე იძაბება სიტუაცია ოპოზიციაში. აქამდე თუ ნაცმოძრაობა და ევროპული საქართველო უპირისპირდებოდა ერთმანეთს, ახლა თავად ევროპულ საქართველოში გაჩნდა ეს დაპირისპირება. ვგულისხმობ ელენე ხოშტარიას გამიჯვნას მისივე გუნდთან. რა ხდება?

– მე ძალიან მენიშნა მიხეილ სააკაშვილის განცხადება. ერთ-ერთ სატელევიზიო ჩართვაში მან ელენე ხოშტარია ახსენა ძალიან თბილად, ლიალკა ხოშტარიაო. ისე მოეფერა, რომ უეჭველი დალაგებულია მაგასთან. როდესაც წინასაარჩევნო პროცესები მწიფდებოდა, მაშინ ბოკერია იყო, ასე ვთქვათ, „პარადნიი“ ადამიანი ამ ოპოზიციაში. სწორედ ბოკერია იყო ყველაფრის რუხი კარდინალი, ლეიბორისტულ ფორმატსაც ბოკერია უძღვებოდა. სწორედ ის განაგებდა ვითარებას. მაგრამ...

– რა მოხდა, ჩააჩოჩეს?

– ეგრე გამოდის და ეს არის ვანო მერაბიშვილის დამსახურება. სწორედ მერაბიშვილის მონდომებით, ბოკერია ჩაჩოჩდა, როგორც ოპოზიციური ლიდერი. ბოკერიას ვეღარ მოვიაზრებთ ძლიერ ლიდერად, თავად მისი პარტიის ძლიერი ფიგურებიც, ისეთები, თუნდაც როგორიცაა ელენე ხოშტარია, პარტიის იდეებს და შეხედულებებს არ იზიარებს.

– ეს რაზე მიგვანიშნებს?

– ადრე, თუნდაც 2016 წლის არჩევნებში, კოზირი, ანუ ფული ეჭირა ბოკერიას. მან მოახერხა და კეზერაშვილი, რომელიც მისი დამფინანსებელია, დაიხსნა ივანიშვილის მარწუხებიდან. ასევე ბატონი უგულავა გამოაშვებინა ციხიდან. დღეს კი, ფულადი კოზირი არის სააკაშვილის ხელში.

– ანუ ვანო მერაბიშვილის ფაქტორმა გაანაპირობა ეს ყოველივე?

– რა თქმა უნდა! სწორედ მანდ ვარ. პირდაპირ ვთქვათ, ვანო მერაბიშვილი, უსერიოზულესი ფიგურა იყო სააკაშვილის მმართველობის დროს. სადაც მერაბიშვილის ხელი იდო, იქ ბოკერიას გუნდის წევრების ხელები ვერ იდებოდა. სანამ მერაბიშვილი გამოვიდოდა ციხიდან, რამდენიმე თვით ადრე, ბოკერიამ მოუხშირა მასთან ვიზიტებს. ბოკერია მშვენივრად ხვდებოდა, რომ მალე გამოვიდოდა მერაბიშვილი და სწორედ მისი გადმობირება სურდა. ვანო მერაბიშვილის ხელშია უსერიოზულესი ფინანსური რესურსი. „ქართული ოცნებაც“ კი ამ საარჩევნო გარემოდან გამომდინარე, რაღაც მომენტებში დამოკიდებულია მერაბიშვილის ბიზნესებზე. რადგან საარჩევნო ინვენტართან დაკავშირებით სხვა ალტერნატიული კომპანია არ არსებობს. ის ბიზნესები, რაც მერაბიშვილს ჰქონდა შექმნილი და გადამალული, ის დღემდე აქვს შენარჩუნებული.

– ანგარიშგასაწევი ფიგურაა მერაბიშვილი?

– დიახ, ძალიან სერიოზული. როგორც აღმოჩნდა, გადაწონა მერაბიშვილმა და მთავარი ოპოზიციური ფლაგმანის დროშა დააჭერინა სააკაშვილის პარტიას.

– ეს ყველაფერი ივანიშვილის ინტერესებშიც შედის, რადგან ნაცმოძრაობისგან და მისგან უკეთესი „ბუა“ იქმნება. ასე არაა?

– რა თქმა უნდა, ბუა მოდის... ეს დღემდე ჭრის.

– ლადო, რას ველოდებით 31 ოქტომბრისთვის?

– ჯერ ხელისუფლება თავადაც არ არის ჩამოყალიბებული, რა იქნება. „ოცნება“ ჯერ ისევ უყურებს რეიტინგებს. დაითვლიან, რამდენის გაყალბების შესაძლებლობა მიეცემათ მათ. თან გვაშინებენ, საგანგაშო ვითარებაა, თან არჩევნები ჩატარდებაო. დაახლოებით ერთ კვირაში გვეცოდინება ხელისუფლების საბოლოო გადაწყვეტილება, ჩაატარებს თუ გადადებს არჩევნებს.

„დღეში 500-ზე მეტი ინფიცირებული, ესაა გახარიას ეფექტური მენეჯმენტი?!“

შოთა მალაშხია: „სერგო ორჯონიკიძე რომ ვინმეს სამშობლოს ღალატს მოედავება, ასეთია ამ ხელისუფლების ფორმულა“

მარიამ მჭედლიშვილი

მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციასა და წინასაარჩევნო აქცენტებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, შოთა მალაშხიას.

– ყოველთვის წუხდით, რომ ხელისუფლება, ასევე საზოგადოება ნაკლებ დროს უთმობენ ტერიტორიულ მთლიანობას. ამ თემამ 31 ოქტომბრის არჩევნების წინ წამოიწია. ოღონდ, აქტუალურია არა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ან ბორდერიზაცია, არამედ, დავითგარეჯი. რას იტყვით?

– არაერთხელ მითქვამს, რომ ბევრი პრობლემის მიუხედავად, ტერიტორიული მთლიანობა ყველაზე მნიშვნელოვანია. ქართველი ხალხი ოკუპირებულ ტერიტორიებს და იქ მოწყობილ ქართველების გენოციდს ვერ მოინელებს. ეს ასეა, მაგრამ ამ ხელისუფლების პირველი პირები ამაზე დუმან.

– დაკარგულ ტერიტორიებზე ეს ხელისუფლებაც საუბრობს.

– ამასაც შევეხები. ამ ხელისუფლებას არანაირად არ აღელვებს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ამ ხალხმა ეს თემა მოხსნა საერთაშორისო ტრიბუნებიდან. ითქვა, რომ უნდა დავათბოთ ურთიერთობა რუსეთთან. ქვეყნის არაფორმალურმა მმართველმა აღნიშნა, რომ 2008 წელს ერთი კედელი დაინგრა, ომი კი არ ყოფილა. ამ არაფორმალურმა მმართველმა პრეზიდენტად აგვარჩევინა ადამიანი, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩვენ დავბომბეთ მძინარე ცხინვალი და რაც მოხდა, საქართველოს ბრალი ყოფილა. ამას იმეორებს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე კობახიძე. ესენი საუბრობენ დავითგარეჯზე?!

– არ აქვთ საუბრის უფლება?

– ისინი ამაზე ლაპარაკობენ წინასაარჩევნოდ, რუსეთისა და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. როგორ ვირწმუნოთ, რომ ამ ხელისუფლებას დავითგარეჯი აწუხებს? ეს ქართული ძეგლია და ამ პრობლემას სჭირდება მოგვარება. მაინცდამაინც ახლა მოუნდათ მოწესრიგება? აზერბაიჯანი და სომხეთი ერთმანეთს ეომებიან. ორივე ქვეყანაში არსებობს პოლიტიკური ოპოზიცია. გაგიგიათ, რომ სომხეთის ოპოზიციას ამ ომში სომხეთის ხელისუფლება დაედანაშაულებინა და აზერბაიჯანის ოპოზიციას – აზერბაიჯანისა?! „ქართული ოცნება“ პრეზიდენტიანად და სახელისუფლებო სტრუქტურებიანად, კობახიძის მეთაურობით, ომში საკუთარ ქვეყანას ადანაშაულებს. ამ წინასაარჩევნოდ, დავითგარეჯის წამოწევა „ოცნებას“ და მის პატრონ რუსეთს სჭირდება არჩევნების მოსაგებად. ეს არის ტიპური კგბშნიკური მეთოდი. ისეთივე, როგორიც რაფალიანცის საქმეა. მოწინააღმდეგეს რაღაც უნდა დააბრალო და იმან თავი უნდა იმართლოს. ოპოზიციამ „ოცნებას“ ასეთი პასუხი უნდა გასცეს.

– სხვა ოპოზიციის პასუხები არადამაკმაყოფილებელია?

– ოპოზიცია შედის დეტალებში, რუკების განხილვაში. მთავარი ისაა, რომ ეს ხელისუფლება არასდროს ყოფილა პატრიოტი და ვერც ახლა გახდებოდა. ის ადრეც ასრულებდა და ახლაც ასრულებს რუსეთის დავალებებს. რუსეთმა რაც უთხრა, ის საკითხი ააფრიალა.

– ბევრი ანალიტიკოსი აღიარებს, რომ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გავლენა უკვე შესუსტდა. თქვენი აზრით, რუსეთი ისევ იაქტიურებს საქართველოში?

– ეს კარგი შეკითხვაა. იაქტიურებს და ავხსნი, რატომ. აზერბაიჯან-სომხეთის ომში თურქეთი აშკარად აზერბაიჯანის მხარეს დადგა. რუსეთმა სომხეთის მიმართ ასეთი აშკარა პოზიცია ვერ დაიკავა. მოსკოვმა კონფლიქტი გააღვივა და სომხეთი მარტო მიატოვა. ერდოღანი ამ საკითხზე ღიად და დაუფარავად საუბრობს. რუსეთის ხელისუფლება ამას ვერ აკეთებს. სომხეთის მოსახლეობა აუცილებლად გამოიტანს სწორ დასკვნებს და რუსეთზე იმედს აღარ დაამყარებს. აზერბაიჯანსა და სომხეთში რუსეთმა უკვე დაკარგა გავლენა. რჩება საქართველო.

– ანუ საქართველოში აქტიურობა ჯერჯერობით არ შენელდება?

– საქართველოში არსებული მეხუთე კოლონა, მარში იქნება თუ პატრიოტთა ალიანსი, ასევე საქართველოს ხელისუფლება, გააგრძელებენ რუსეთის სპეცსამსახურებში მოფიქრებული თემების შემოგდებას. მეხუთე კოლონა დიდი ხანია ახორციელებს შეტევებს თურქეთსა და აზერბაიჯანზე. ამ პირებს ერთხელაც არ გახსენებიათ რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები. როცა „ქართული ოცნება“ ვინმეს ედავება ღალატს და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, ეს სასაცილოა. სერგო ორჯონიკიძე რომ ვინმეს სამშობლოს ღალატს მოედავება, ასეთია ამ ხელისუფლების ფორმულა.

– როგორ აისახება დავითგარეჯის თემა საზოგადოებაზე, არჩევნებზე?

– ეს ხალხზე არანაირ გავლენას არ მოახდენს. არჩევნები ჩაივლის. თეორიულად, ხელისუფლებაში რჩება „ქართული ოცნება“. რა გამოსწორდება? ტერიტორიები დაბრუნდება, ლარის კურსი აიწევს, სამუშაო ადგილები მოიმატებს?! ეგ კი არა, კატასტროფაა კორონავირუსის მხრივ. რამდენიმე თვის წინ დღეში 10 ინფიცირებულის გამო კარანტინს აცხადებდნენ. ახლა ამაზე მეტი გარდაცვლილია, ინფიცირებულთა რიცხვი 500-ს აჭარბებს. იმაზე უარეს დღეში ვართ, რა დღეშიც კორონაკრიზისისას იტალია იყო. იქ მილიონზე 108 ინფიცირებული იყო, ჩვენთან მეტია. დღეში 500-ზე მეტი ინფიცირებული – ესაა გახარიას ეფექტური მენეჯმენტი?! ამ კაცის ეფექტური მენეჯმენტი პატრიოტი ახალგაზრდებისათვის თავლების დათხრაა. ეკონომიკა რომ სრულიად ჩამოიშალა, ამათი „კარგი“ მენეჯმენტის ბრალია. ყველაფრის გაჩერებამ გამოიწვია ეკონომიკის ნგრევა.

– ხელისუფლების გათვლით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ტურისტული აქტივობა არ აღდგა, 2021 წელს ეკონომიკაში 5%-იანი ზრდა გვექნება.

– რომელი დაპირება შეასრულეს, რომ ეგ შეასრულონ?! ჯერ სად ვართ! სეზონური ინფექციები დაიწყება. მოსახლეობა, რომელიც უარესად გაღატაკდა, არასრულფასოვნად იკვებება, უარეს პირობებში ცხოვრობს. ადამიანები ადვილად დაავადდებიან. ძალიან ცუდი პერსპექტივები გველის. ამ დროს საზოგადოებაში აგდებენ თემებს, რომლებიც ადამიანების ემოციებს ეხება. ამით უნდათ ფოსს გასვლა არჩევნებზე. მეთოდები კი ძველი – კგბშნიკურია.

სერგო რატიანი: „არჩილ თალაკვაძე ჩვეულებრივ ჯამბაზად იქცა“

„რთულია პროგნოზირება, რა მოიხარშება ივანიშვილის ტვინში, მაგრამ თუ არანორმალურ გადაწყვეტილებას მიიღებს, ყოფილი მილიარდერი გახდება“

იაგო ნაცვლიშვილი

დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე აცხადებს, რომ არჩევნებთან დაკავშირებული პროტოკოლის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისია მუშაობს. ამასთან გამყრელიძე ამბობს, რომ ხმის მიცემის უფლება ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა და ქვეყანა შეეცდება, მოქალაქეებმა არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ.

ამან წარმოშვა ეჭვები, რომ ხომ არ უნდა ველოდოთ გარკვეულ „სიურპრიზებს“ ცესკოსგან, რომელიც არცთუ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საქართველოში. ოპოზიციას ხშირად დაუდანაშაულებია ის ბიძინა ივანიშვილის ნების შესრულებაში.

ელოდებიან თუ არა სიურპრიზებს, ვისი ან რისი იმედი აქვს ოპოზიციას და როგორ უნდა გავიგოთ პარლამენტის თავმჯდომარის არჩილ თალაკვაძის განცხადება, რომელიც ევროსენტის საპარლამენტო ასამბლეაში ევროპარლამენტის დელეგაციის თავმჯდომარისგან ანდრიუს კუბილიუსისგან განმარტებებს ელოდება? – ამ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი საუბრობს:

– როგორც ცნობილი გახდა, პანდემიასთან დაკავშირებით საარჩევნო წესებისა და რეგულაციების შემუშავებაზე ცესკო მუშაობას. აკრიტიკებთ ხოლმე მას, რომ რაღაც სიურპრიზებს გთავაზობთ ოპოზიციას და ახლაც ხომ არ ელოდებით ამას?

– ზოგადად ივანიშვილის ტვინში რა მოიხარშება, ამის პროგნოზი მართლაც რთულია. ეს იმიტომ არის რთული, რომ ეს ადამიანი, ბიძინა ივანიშვილი, არ არის პროგნოზირებადი. ეს ადამიანი მოქმედებს იმის შესაბამისად, დილით როგორ შეეშინდება და ამის პროგნოზირება რთულია. ხომ მართალია ეს? – შესაბამისად, მე ამის პროგნოზირებას არ გავაკეთებდი, მაგრამ რაც უფრო არანორმალურ გადაწყვეტილებებს მიიღებს, მით უფრო სწრაფად დაასრულებს თავის ხელისუფლებას.

– რა გაქვთ მხედველობაში, როდესაც ამბობს, რომ ამით სწრაფად დაასრულებს საკუთარ ხელისუფლებას?

– ივანიშვილი წააგებს ან დააყენებს საფრთხის ქვეშ საკუთარ თავს.

– ალბათ გაყალბებაზე მიანიშნებთ და თუ წავიდნენ ამაზე, ამ შემთხვევაში რა ხდება და რა გეგმა გაქვთ ოპოზიციას?

– ივანიშვილს დაადებენ სანქციებს ჩვეულებრივად და გვეყოლება ყოფილი მილიარდერი და არა მილიარდერი.

– დასავლეთის იმედად ხართ?

– დიახ, რა თქმა უნდა, დასავლეთის სანქციები მაქვს მხედველობაში. როგორც ივანიშვილს თითი მოვაკაკვინეთ და მოვტეხეთ მაშინ, როდესაც საუბარი იყო საკონსტიტუციო ცვლილებებზე და ასევე გამოვაშვებინეთ გიგი უგულავა და ირაკლი ოქრუაშვილი, ასევე იქნება ახლაც. ისე, ასევე დამარცხდება ამ ბრძოლაში. მით უმეტეს, რომ გაცილებით უფრო სერიოზული ბრძოლა იქნება.

– დასავლეთის იმედად რომ ხართ, გასაგებია, მაგრამ გქონიათ ბოლო პერიოდში დასავლელ პოლიტიკოსებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაცია?

– არა. ჩვენ მხოლოდ დასავლეთის იმედად არ ვართ. საზოგადოება ამას არ მოითმენს და ეს არის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

– შეშფოთება გამოთქვა პარლამენტის თავმჯდომარემ კუბილიუსის განცხადებასთან დაკავშირებით. თქვენ რა გზავნილი დაინახეთ არჩილ თალაკვაძის განცხადებაში?

– ვისი სიტყვა უფრო წონადია – კუბილიუსის თუ არჩილ თალაკვაძის? შეუდარებელი პოლიტიკური წონაა საერთაშორისო ასპარეზზე. მას ვერც კი შევადარებთ ერთმანეთს. ასე არაა?!

– თალაკვაძე ითხოვს განმარტებას კუბილიუსისგან.

– რა განმარტებას ითხოვს?! როდესაც შენ ანტისახელმწიფოებრივად მოქმედებ და როდესაც უდანაშაულო ადამიანებს ციხეში ყრი, როდესაც ცილისმწამებლურად იქცევი და პირდაპირ სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებ, ხაზს ვუსვამ, საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ როცა მოქმედებ, ამას რა ჰქვია?! მით უმეტეს, რომ ამაში დაინტერესებაა რუსეთის, რომ ჩვენ და აზერბაიჯანს შორის იყოს დაძაბულობა. როდესაც ხელისუფლებას უნდა, რომ მთავარი მტერი – რუსეთი ჩაანაცვლოს სხვა მტრით, ეს პირდაპირი დაკვეთაა პუტინის და კრემლის.

ეს მაშინ, როდესაც ყოველდღიურად იცვლება საზღვარი და ყოველდღიურად შემოდიან და წევენ საზღვარს. ამ ფონზე ისინი ყოფილი „კაგებიშნიკების“ კი არა „ფე-ეს-ბე“-ს მოქმედი აგენტების მიერ მოძებნილ რუკებზე და რაღაცა სისულელეებზე იჭერენ ადამიანებს, რომლებსაც ამ ქვეყნის წინაშე თავისი ღვაწლი აქვთ. ეს არის ანტისახელმწიფოებრივი ქმედება და ამას არავინ არ მოითმენს.

– კუბილიუსმა სასაცილო უწოდა იმ ქმედებას, რასაც საქართველოს ხელისუფლება აკეთებს, ხოლო თალაკვაძემ ეს გადათარგმნა იმგვარად, რომ კუბილიუსმა სასაცილო ჩვენ ისტორიასა და კულტურაზე თქვა. ეს რა არის?

– არჩილ თალაკვაძე, სამწუხაროდ, ჩვეულებრივ ჯამბაზად იქცა, როდესაც მას შეუძლია ისეთ სერიოზულ გზავნილზე დასავლეთიდან, რაც გააჟღერა კუბილიუსმა, რაღაცა ბოდვები განაცხადოს.

თენგიზ ცერცვაძე: „ვინც კოვიდინფექცია დაამარცხეთ, პლაზმა ჩააბარეთ“

ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრის გენერალურმა დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ „დღის კურიერის“ ეთერში იმ ადამიანებს მიმართა, ვინც კოვიდ ინფექცია უკვე გადაიტანა და სთხოვა, რომ მივიდნენ და ჩააბარონ პლაზმა, რომელსაც შემდეგ ინფიცირებულებს გადაუსხამენ.

– დღეისთვის ინოვაციურ მიდგომად რჩება გამოჯანმრთელებული ადამიანების გადასხმა კოვიდ ინფიცირებულებზე. პლაზმის გადასხმა საკმარისად ეფექტურია იმისათვის, რომ ავადმყოფების გარკვეული რაოდენობა გადავარჩინოთ. ჩვენ ეს პლაზმა 6 შემთხვევაში გამოვიყენეთ მძიმე ავადმყოფების შემთხვევაში და ყველა მათგანი გადარჩა. ამას ვიყენებთ იმის გამო, რომ დონორები არ გვყავს. მინდა მივმართო ყველა იმ მოქალაქეს, ვინც კოვიდ ინფექცია გადაიტანა, მოგვმართონ და ჩააბარონ პლაზმა, – განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ჟურნალისტმა თეონა ცხომელიძემ, რომელმაც კორონავირუსი უკვე გადაიტანა, თენგიზ ცერცვაძესთან საუბრისას განაცხადა, რომ ის პლაზმას აუცილებლად ჩააბარებს, რაზეც თენგიზ ცერცვაძემ განაცხადა, რომ ეს კარგი მაგალითი იქნება სხვებისთვის.

თენგიზ ცერცვაძის მოწოდებას „დღის კურიერის“ ეთერშივე გამოეხმაურა „ჩვენი საქართველო – სოლიდარობის ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი გედევან ფოფხაძეც და აღნიშნა, რომ ის, როგორც კოვიდ ინფექციაგადატანილი, მზად არის, პლაზმა ჩააბაროს.

„აჭარა ტექსტილში“ 116 თანამშრომელს კოვიდ 19 დაუდასტურდა

ფოთში, სამკერვალო ფაბრიკა „აჭარა ტექსტილში“ სამუშაო პროცესი შეჩერდა. ფოთში კორონავირუსით ინფიცირებულთა რეკორდული ციფრი დაფიქსირდა. საზოგადოებრივი ჯანდაცვა ინფიცირებულთა რიცხვს არ აკონკრეტებს. ცენტრის წარმომადგენლის, ნინო ლეფსაიას თქმით, ციფრები შესაძლოა შეიცვალოს.

ეპიდემიოლოგიური კვლევები კვლავ მიმდინარეობს. „აჭარა ტექსტილში“ 1.300 ადამიანია დასაქმებული. ფოთში ინფიცირებულთა რეკორდულ მაჩვენებელს ქალაქის მერი გოჩა კურდღელიაც ადასტურებს.

– გუშინ ლაბორატორიაში გაიგზავნა „აჭარა ტექსტილის“ 417 თანამშრომლის ნიმუში. ეტაპობრივად ხდება პასუხების მიღება. ახლა მივიღეთ ინფორმაცია, რომ 116 პირს დაუდგინდა კოვიდ-19. მათში არიან ფოთელებიც და არაფოთელებიც. რიცხვი პერიოდულად იცვლება. „აჭარა ტექსტილმა“ მუშაობა უკვე შეაჩერა. ფაბრიკაში 1.300-მდე ადამიანია დასაქმებული. მათგან 350 ადგილობრივია, – აცხადებს ფოთის მერი გოჩა კურდღელია.

„გური ამირხანაშვილს ძმაკაცი რომ მოეძებნა, გიორგი შაქარაშვილი ცოცხალი იქნებოდა“

– გური ამირხანაშვილს თავისი ძმაკაცი რომ მოეძებნა, დღეს გიორგი შაქარაშვილი ცოცხალი იქნებოდა.

ეს ბრალდებულ ვახტანგ ჩიქოვანის ჩვენებაა, რომელიც დაკავებულმა სასამართლოს 13 ოქტომბერს 6 არასრულწლოვნის პროცესზე მისცა.

დაცვის მხარის განცხადებით, ვახტანგ ჩიქოვანი ყვება, რომ ტოიოტა ქემრის მგზავრებმა შაქარაშვილის საქმის ოქროს მოწმედ წოდებულ გური ამირხანაშვილს თავისი მეგობრების, მათ შორის გიორგი შაქარაშვილის მოძებნა შესთავაზეს, რაზეც უარი მიიღეს.

არასრულწლოვანების პროცესზე გამოძახებული ტოიოტა ქემრის და მერსედესის მანქანების 4 მგზავრიდან სასამართლოს ჩვენება მხოლოდ ვახტანგ ჩიქოვანმა მისცა. დანარჩენმა ბრალდებულებმა – ვასილ მახარაძემ, თენგო ბარბაქაძემ და ირაკლი მუმლაძემ ჩვენების მიცემაზე უარი თქვეს.

პროკურორ ნანა გუგუტიშვილის განცხადებით, ვახტანგ ჩიქოვანმა სასამართლოში ჩვენებისას განაცხადა, რომ ტოიოტას მგზავრები ხიდზე მიმავალ პირებს, მათ შორის, შაქარაშვილს იმის გამო დაედევნენ, რომ მანქანა არ დაჯახებოდა.

პროკურორი აცხადებს, რომ ვახტანგ ჩიქოვანის ჩვენება დამაჯერებელი არ იყო და ის სასამართლომ არ უნდა გაიზიაროს.

ამასთან, გუგუტიშვილის განმარტებით, ჩიქოვანის განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება, როცა ამბობს, რომ ამირხანაშვილი თბილისში იმის გამო წამოიყვანეს, რომ მას გზის ფული არ ჰქონდა.

– მოწმემ ისაუბრა, როგორ დატოვეს მცხეთის ტერიტორია და როგორ გადაადგილდებოდნენ თბილისისაკენ და როგორ დაბრუნდნენ კვლავ მცხეთაში. ვახტანგ ჩიქოვანმა ისაუბრა მის ავტომობილში მყოფ პიროვნებებთან დაკავშირებით და მოახდინა საკუთარი თავის ჩათვლით ექვსივე პირის იდენტიფიცირება, თუმცა, ვახტანგ ჩიქოვანი აღნიშნული საქმიდან გამოყოფილ სხვა საქმეზე ბრალდებულის სტატუსით სარგებლობს, ის გაფრთხილებული არ იქნა ცრუ ჩვენების მიცემაზე სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, შესაბამისად, მან სასამართლოს ის ინფორმაცია მიაწოდა, რაც მას სურდა. აღსანიშნავია, რომ ძირითად მომენტებზე მოწმე აფიქსირებდა, რომ არ ახსოვდა. არაერთი ზარია ვახტანგ ჩიქოვანის ტელეფონიდან მერსედესის მგზავრებთან – ნიკა ჟვანიასთან, ირაკლი მუმლაძესთან და სხვადასხვა პირებთან, მათ შორის, ქემრიში მყოფ არჩილ გაგნიძესთან განხორციელებული.

მოწმე განმარტავდა, რომ აღნიშნული არ ახსოვს, არჩილ გაგნიძესთან ზარი ახსოვდა, თუმცა, საუბრის შინაარსი არ ახსოვდა.

ვახტანგ ჩიქოვანმა განმარტა, რომ ქემრიში მყოფი ყველა პირი გადმოვიდა ავტომობილიდან, თავდაპირველად განაცხადა, რომ ქვეითად მყოფ პირებს, მათ შორის შაქარაშვილს დაედევნენ, თუმცა, შემდეგ განმარტა, რომ ეს დადევნება არ იყო. ამ შემთხვევაში მოწმის განმარტება ძალიან კეთილშობილური იყო, მისი თქმით, ქვეითად მიმავალ პირებს ავტომობილი რომ არ დაჯახებოდათ, თურმე, ამ მიზნით მისდევდნენ მათ.

რაც შეეხება გურამ ამირხანაშვილის წამოყვანას, ამ ეპიზოდზეც ბევრი დეტალი არ ახსოვს, თუმცა, განაცხადა, რომ ამირხანაშვილი საკუთარი ნებით წამოჰყვა. მოწმის თქმით, ფინანსური საკითხები გაარკვიეს, რამდენად ჰქონდა საშუალება, რომ ის დამოუკიდებლად წასულიყო, ასევე ტელეფონის საკითხები გაარკვიეს. ამირხანაშვილის ჩვენებით, თანხა მას ნამდვილად ჰქონდა, მან დიდუბეშიც გამოიძახა ტაქსი, სხვას 5 ლარიც ჩაურიცხა, რითაც დასტურდება, რომ გური ამირხანაშვილის ჩვენება სინამდვილეა და შესაბამისობაში მოდის საქმის დეტალებთან. მოწმემ განმარტა, რომ ამირხანაშვილს მეგობრების მოძებნა შესთავაზეს, თუმცა, უარი მიიღეს, – აცხადებს გუგუტიშვილი.

შეგახსენებთ, რომ 19 წლის ფეხბურთელი, გიორგი შაქარაშვილი 18-19 ივნისის ღამით გაუჩინარდა. საქმეზე, ამ დროისთვის, 18 პირია დაკავებული.

პროკურატურამ 11 პირის საქმე ცალკე წარმოებად გამოყო, მათ ბრალად ჯგუფური ძალადობის ორგანიზება და მასში მონაწილეობა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ძალადობა ედებათ. მათ, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, 4-დან 10 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

რაც შეეხება დამძიმებულ ბრალს, 11 აგვისტოს პროკურატურამ გიორგი შაქარაშვილის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ბრალდებით სისხლის სამართლებრივი დევნა 5 პირის მიმართ დაიწყო. ხუთივე მათგანს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 13-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნოდარ ხორბალაძე: „ჩემსა და ივერი მელაშვილს შორის საუბარი დაიძაბა“

ახალი ჩვენებები კარტოგრაფების საქმეში

ახალი ჩვენებები და შეუსაბამობები გარეჯის საქმის მასალებიდან – ირმა გაბუნია, რომელმაც სადემარკაციო კომისიაში 2019 წელს ნატალია ილიჩოვა შეცვალა, ჩვენებაში ყვება, რომ მისი წინამორბედისგან გადაიბარა რუკები და შეინახა სეიფში, რომელიც იმავე ოთახში დგას, სადაც ილიჩოვა მუშაობდა.



„მას შემდეგ, რაც მოხდა კომისიაში ნატალია ილიჩოვას ჩემით ჩანაცვლება, მან გადმომცა საქართველო-აზერბაიჯანის დელიმიტაცია-დემარკაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და რუკები, აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის მიღება-ჩაბარების ან სხვა რამე წერილობითი აქტი არ შედგენილა, უბრალოდ მითხრა, რომ ეს იყო მის ხელთ არსებული მასალები და ვინაიდან ვიყავი კომისიის წევრი, მქონოდა მე. გადმოცემული მასალები შევინახე სამუშაო ოთახში განთავსებულ რკინის სეიფში, რომელსაც ვიყენებდით მე და ნატალია ილიჩოვა.

აღნიშნული დედანი რუკები 2019 წლის მაისის შემდეგ, ზუსტ თარიღს ვერ ვიხსენებ, გადმომცა ნატალია ილიჩოვამ, სამსახურში ჩვენს სამუშაო ოთახში. ხოლო რაც შეეხება 1937 წლის გამოცემა რუკის ასლი ნომენკლატურით კ-38 XXII – არ ვიცი ნატალია ილიჩოვამ გადმომცა თუ მე მივიღე ურთიერთგაცვლისას, როგორც კომისიის წევრმა, სხვა კომისიის წევრებისგან, არ ვიცი აქვს თუ არა დედანი და არც ის ვიცი, თუ ვინ შეიძლება იცოდეს აღნიშნულის შესახებ“ – წერს ჩვენებაში ირმა გაბუნია.

გასაჯაროვდა ნოდარ ხორბალაძის ჩვენებაც.

ხორბალაძე ასევე კომისიის წევრი და თავდაცვის ძალების წარმომადგენელია. ის ჩვენებაში ყვება, რომ ერთ-ერთ შეხვედრაზე კომისიის წევრებთან ერთად იმყოფებოდა თავდაცვის ყოფილი მინისტრი მინდია ჯანელიძეც. ხორბალაძის თქმით, მათ ივერი მელაშვილთან მცირე კამათიც მოუვიდათ.

„მე წარმოვადგინე ჩემ მიერ მოძიებული რუკები, ასევე კრიზისების საბჭოს მიერ მოძიებული რუკა. ივერი მელაშვილმა აღნიშნა, რომ წარდგენილი რუკები არ უნდა ყოფილიყო სახელმძღვანელოდ გამოსაყენებელი აზერბაიჯანთან სახელმწიფო საზღვრის საკითხებზე მსჯელობისას, თუმცა თავისი აზრის გასამყარებლად ვერც ერთი არგუმენტი ვერ მოჰყავდა.

საუბარი ჩემსა და ივერი მელაშვილს შორის დაიძაბა და დავით ჯალაღონია ცდილობდა სიტუაციის განმუხტვას“ – წერს ჩვენებაში ნოდარ ხორბალაძე

ნატალია ილიჩოვას ადვოკატი ადასტურებს, რომ დავითგარეჯის ყველა საბუთი და რუკა მისმა დაცვის ქვეშ მყოფმა ირმა გაბუნიას გადასცა და დოკუმენტაციაც სწორედ გაბუნიასგან ამოიღეს და არა ილიჩოვასგან.

აზერბაიჯანთან საზღვრის დადგენის კომისიის წევრები ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა 7 ოქტომბერს დაკავეს.

პროკურატურა მათ სადემარკაციო კომისიაში მუშაობისას, საქართველოს ტერიტორიული ინტერესების საწინააღმდეგო რუკებით მუშაობაში ადანაშაულებს.

დაკავებულების წინააღმდეგ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც 10-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

8 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ორივე მათგანს აღკვეთის სახით ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

მერაბ მერებაშვილი: „მანქანას ჩემს შვილზე შემთხვევით არ გადაუვლია“

– როგორც ჩემი შვილის საქმე გააყალბა, ისე გააყალბებს შაქარაშვილის საქმეს პროკურორი ნანა გუგუტიშვილი, – ამის შესახებ გარდაცვლილი თორნიკე მერებაშვილის მამამ საიაში პრესკონფერენციაზე განაცხადა.

თორნიკე მერებაშვილის მამამ მერაბ მერებაშვილმა აღნიშნა, რომ მისი შვილისთვის ავტომანქანას შემთხვევით არ გადაუვლია და მას რამდენიმე პირმა სცემა, გამოძიება კი საქმეს სპეციალურად აჭიანურებს.

– როგორც ჩემი შვილის საქმე გააყალბა, ისე გააყალბებს შაქარაშვილის საქმეს პროკურორი ნანა გუგუტიშვილი. საქმეში არსებული მასალები გამოძიებას საეჭვოს ხდის და პროკურატურის ვერსიას ეჭვქვეშ აყენებს. ავტომანქანას ჩემი შვილისთვის შემთხვევით არ გადაუვლია, მასზე რამდენიმე პირის მიერ ძალადობა განხორციელდა, – განაცხადა მერებაშვილმა.

მისი თქმით, პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ერთი წლის წინ მას შეჰპირდა, რომ საქმეს პირად კონტროლზე აიყვანდა, თუმცა მერებაშვილის თქმით, ერთი წლის თავზე გამოძიების მხრივ არაფერი შეცვლილა.

გარდაცვლილის მამა დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას ითხოვს.

საია პროკურატურას მოუწოდებს, სრულყოფილად გამოიძიოს თორნიკე მერებაშვილის გარდაცვალების საქმე. ორგანიზაციის შეფასებით, საქმეში არსებული გარემოებები პროკურატურის ვერსიას საეჭვოს ხდის და გამოძიების არაეფექტიანობას ადასტურებს.

საია მიუთითებს, გამოძიების დროს გამოიკვეთა, რომ თორნიკე მერებაშვილზე ერთმა ან რამდენიმე პირმა იძალადა, რაც გამოძიებას ამ დრომდე არ გამოუკვლევია. ორგანიზაცია აქცენტს აკეთებს მერებაშვილის მიერ ბიძაშვილთან და 112-ზე განხორციელებულ ზარებზეც.

საიას ინფორმაციით, ორივე ადრესატთან განხორციელებული ზარის დროს მერებაშვილმა განაცხადა, რომ იყო დაჭრილი და დახმარებას საჭიროებდა. პროკურატურის ვერსიით, გზაზე მიმავალ თორნიკე მერებაშვილს ავტომანქანამ შემთხვევით გადაუარა. შესაბამისად, მძღოლს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის საფუძვლით წარედგინა ბრალი.

– ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ გარდაცვალებულს აღენიშნებოდა ნეკნების მოტეხილობა ორივე მხარეს, რაც კავშირში იყო თორნიკე მერებაშვილის გარდაცვალებასთან, ხოლო მოგვიანებით ჩატარებულმა კომპლექსურმა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ გარდაცვლილს აღენიშნებოდა არა ნეკნების, არამედ მენჯის ძვლების მოტეხილობა.

არავის ამ საკითხზე პასუხი არ უგია დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ არსებითი სხვაობაა პირველ და მეორე ექსპერტიზას შორის, – აცხადებს საიას თავმჯდომარე სულხან სალაძე.

თორნიკე მერებაშვილი 2018 წლის 6 ივლისს, სოფელ ხელთუბანში, საავტომობილო გზაზე მრავლობითი დაზიანებით გარდაცვლილი იპოვეს.

„დავით ხიდაშელი ჩვენებაში ივანიშვილს არ ახსენებს“

კარტოგრაფების საქმის ფიგურანტმა და რუკების მთავარმა წყარომ, დავით ხიდაშელმა, ჩვენებაში ბიძინა ივანიშვილი არ ახსენა. ეს მაშინ, როცა სატელევიზიო ინტერვიუებში რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი პირდაპირ ამბობს, რომ რუკების მოძიება ივანიშვილმა სთხოვა.

აქედან გამომდინარე, დაპატიმრებულების ადვოკატები ბიძინა ივანიშვილისა და გამოძიების საეჭვო კავშირზე საუბრობენ. ყველაფერს ერთად კი საქმის პოლიტიზირებულობას უკავშირებენ.

– ჩვენებაში დავით ხიდაშელი საერთოდ არ ახსენებს ბიძინა ივანიშვილს. ხიდაშელი ამბობს, რომ რუკების მოძიება მას ვინმე ბეჟან მაისურაძემ დაავალა. სატელევიზიო ინტერვიუში ივანიშვილის ფიგურანტობა მიუთითებს, რომ ხიდაშელმა ან მიზანმიმართულად დამალა ივანიშვილის დაინტერესება რუკებით, ან თავად გამოძიებამ არ ასახა ოქმში რეალური ჩვენება. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს საკითხის პოლიტიზირებულობასა და მოწმეებზე პოლიტიკური აქტორების ზეგავლენას, – ამბობს ადვოკატი გიორგი მშვენიერაძე.

გარდა ამისა, ადვოკატები კიდევ ერთხელ უსვამენ ხაზს, რომ ნატალია ილიჩოვასა და ივერი მელაშვილის ბრალეულობა საქმეში არსებული მასალებით საერთოდ არ იკვეთება. სწორედ ამიტომ, უფლებადამცველები ვარაუდობენ, რომ საქმე უახლოეს მომავალში შეწყდება.

15 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს აირჩევენ

15 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს აირჩევენ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, თავმჯდომარეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსებული შემადგენლობიდან შეარჩევენ.

ძველი კანონმდებლობის თანახმად კი, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით, ეს ფუნქციები გაიყო.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ამ დრომდე საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე ასრულებდა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ და ასევე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ნინო გვენეტაძემ თანამდებობა 2018 წლის 2 აგვისტოს დატოვა. პოსტიდან წასვლის მიზეზად გვენეტაძემ ჯანმრთელობის მდგომარეობა და საზღვარგარეთ რამდენიმეთვიანი მკურნალობის საჭიროება დაასახელა.

პოლიციამ „ლელოს“ წევრის ცემისთვის 1 პირი დააკავა

სამართალდამცავებმა ქუთაისში პოლიტიკური პარტიის „ლელო საქართველოსთვის“ წევრზე ძალადობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად,

1993 წელს დაბადებული თ.ყ. ძალადობის ბრალდებით, ქუთაისში დააკავეს.

დანაშაული 1 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს ბრალდებულმა, ქუთაისში, რუსთაველის გამზირზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წევრს.

დაშავებულ მამაკაცს სამედიცინო დახმარება გაეწია. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ცემას ან სხვაგვარ ძალადობას გულისხმობს, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია“ – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მარნეულში სკოლის დირექტორს 11 წლის მოსწავლის ცემაში ადანაშაულებენ

მარნეულში, სოფელ ულაშლოს სკოლის დირექტორს 11 წლის მოსწავლის ცემაში ადანაშაულებენ.

ინფორმაცია სამოქალაქო აქტივისტმა სამირა ბაირამოვამ ფეისბუქში გაავრცელა.

„მარნეულში, სოფელ ულაშლოს სკოლის დირექტორმა, უკაცრავად, სკოლის იმპერატორმა, 11 წლის სკოლის მოსწავლეს სცემა! გავიგე, რომ ახლა პოლიციაში გამოკითხვაზე არიან“ – წერს ბაირამოვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ გამოძიება სსკ-ის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს.

ალიევი: „სომხეთის ოკუპაციისგან კიდევ 8 სოფელი გათავისუფლდა“

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი აცხადებს, რომ „სომხეთის ოკუპაციისგან“ კიდევ 8 სოფელი გათავისუფლდა.

– აზერბაიჯანის დიდებულმა არმიამ ფუზულის რაიონის სოფლები: გარადაღლი, ხათუნბულაგი, გარაკოლუ და ხოჯავენდის რაიონის სოფლები: ბულუტანი, მელიქჯანლი, კემერტუკი, ტეკე და თაგასერი გაათავისუფლა. დიდება აზერბაიჯანის არმიას! ყარაბაღი აზერბაიჯანია! – წერს აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ტვიტერში.

მისივე თქმით, სომხეთი აზერბაიჯანის გაზსადენებზე თავდასხმასა და კონტროლის დამყარებას ცდილობს.

– თუკი სომხეთი აზერბაიჯანის გაზსადენებზე კონტროლის დამყარებას შეეცდება, ამას მისთვის ძალიან სასტიკი შედეგი მოჰყვება, – განაცხადა ალიევმა.

სომხეთი უარყოფს ბრალდებას იმასთან დაკავშირებით, რომ მისი სამიზნე აზერბაიჯანის გაზსადენებია.

ტიხანოვსკაიამ ლუკაშენკოს ულტიმატუმი წაუყენა

ბელარუსული ოპოზიციის ლიდერმა სვეტლანა ტიხანოვსკაიამ პრეზიდენტ ლუკაშენკოს დეპეშა გაუგზავნა. მასში ნათქვამია, რომ ლუკაშენკო

25 ოქტომბრამდე უნდა გადადგეს.

– თუ ამ ხნის განმავლობაში არ გადადგებით, ბელარუსში საერთეროვნული გაფიცვა დაიწყება, -– წერს ტიხანოვსკაია.

თავად ლუკაშენკომ ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ საპრეზიდენტო ტალღის რადიკალიზაცია ხდება და ეს ყოველივე უცხოეთიდან იმართება.

– ბელარუსის წინააღმდეგ აქტიურად მუშაობენ ცენტრები, რომლებიც პოლონეთში, ჩეხეთში, ლიტვასა და უკრაინაშია განთავსებული. ქვეყანა საფრთხეშია! – ამბობს პრეზიდენტი.

ბელარუსი ხალხი მასობრივადაა განწყობილი ლუკაშენკოს წინააღმდეგ. ლუკაშენკოც კრემლის მიერ აბსოლუტურად მართვად ფიგურად გადაიქცა.

ნავალნის მკურნალი ექიმი სამსახურიდან გადადგა

ომსკის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე ანატოლი კალინიჩენკო სამსახურიდან გადადგა. ის რუს ოპოზიციონერ ნავალნის მკურნალობდა.

ექსპერტები თვლიან, რომ კალინიჩენკო ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას განიცდიდა. მიზეზი მარტივია: ნავალნის მოწამვლის შესახებ პირველმა სწორედ მან განაცხადა, რაც საავადმყოფოს სხვა ექიმების დიაგნოზს ეწინააღმდეგებოდა. ისინი აცხადებდნენ, რომ ნავალნი მოწამლული კი არ არის, არამედ ნივთიერებათა ცვლა აქვს მოშლილი.

თავად კალინიჩენკო ხელისუფლების მხრივ ზეწოლის ფაქტს უარყოფს.

– მსურს, მთელი დრო ჩემს ძირითად სპეციალობას ანუ ქირურგიას დავუთმო. საავადმყოფოში კი უფრო ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტა მიწევდა, – აცხადებს კალინიჩენკო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მყიდველმა ბროკოლის შეკვრაში ცოცხალი გველი აღმოაჩინა

ბრაზილიის სანტა-კატარინას მკვიდრმა ქალბატონმა პროდუქტების მაღაზიაში შეძენილ ბროკოლის შეკვრაში ცოცხალი გველი აღმოაჩინა. მის მიერვე გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა პორტალმა გამოაქვეყნა.

ინციდენტი გასულ კვირას მოხდა.

– ხალხო, ახლახან დავბრუნდი სუპერმარკეტიდან; აი, ნახეთ, რა აღმოვაჩინე ბროკოლში. მე მას უკანვე მაღაზიაში დავაბრუნებ, – დაწერა ქალმა.

მან ვიდეოზე გადაიღო შეფუთული ბროკოლი, რომლის გვერდით 30 სანტიმეტრიანი გველი იმყოფებოდა.

სუპერმარკეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კლიენტმა მათ საჩივრით მიმართა და სიტუაცია მოგვარდა. პერსონალური მომსახურების განყოფილების ხელმძღვანელის ლუჩიანა და სილვა მაფრის თქმით, მათ ბროკოლის შეკვრა არ გახსნეს და ის მის მწარმოებელს გაუგზავნეს.

გარდაცვლილი დედის ტრადიციამ ქალი გაამდიდრა



სამხრეთ ავსტრალიის შტატის ქალაქ ადელაიდას გარეუბნის სიფორდ-რაიზის მკვიდრმა მას შემდეგ მოხსნა ჯეკპოტი ლატარიაში, როდესაც ის რიცხვები გამოიყენა, რომელსაც მისი გარდაცვლილი დედა იყენებდა.

ავსტრალიელმა ლატარიის ბილეთი ონლაინ 30 სექტემბერს შეიძინა. მან მასში ჩაწერა იმ რიცხვების კომბინაცია, რომელსაც ტრადიციულად მისი გარდაცვლილი დედა იყენებდა.

შედეგად ქალმა ლატარიაში პირველი პრიზი 718,7 ათასი ავსტრალიური დოლარი მოიგო.

– ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოსდა თავად დედა დამეხმარა გამარჯვებაში. ღმერთმა დალოცოს მისი სული! – განაცხადა ლატარიის გამარჯვებულმა.

ქალმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს მოგება დიდი შეღავათი იქნება რამდენიმე მძიმე თვის გადატანის შემდეგ. ის გეგმავს დაეხმაროს მამას, რომელსაც მცირე ხნის წინ კიბოს დიაგნოზი დაუსვეს.

მთვრალ მამაკაცს შეცდომამ სიმდიდრე მოუტანა



ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ ნიუკასლის მკვიდრმა შეცდომით დოღზე იმაზე ათჯერ მეტი ფული დადო, ვიდრე აპირებდა და საკმაოდ მსხვილი თანხა მოიგო.

შაბათს, მამაკაცმა დოღზე ფულის დადება მეგობრებთან ქეიფის შემდეგ გადაწყვიტა. ის 600 ავსტრალიური დოლარის დადებას ხუთი ცხენისგან შემდგარ კომბინაციაზე აპირებდა, მაგრამ იმის გამო, რომ საკმაოდ იყო შეზარხოშებული, დაწერის დროს შეცდომა დაუშვა და 6000 ავსტრალიური დოლარი ჩაწერა.

მისი ფსონო მომგებიანი აღმოჩნდა და ავსტრალიელის მოგებამ 621,8 ათასი ავსტრალიური დოლარი შეადგინა.

ქალმა 53 წლის წინ დაკარგული მეუღლის ბეჭედი იპოვა



ამერიკის ნიუ-ჰემპშირის შტატის ქალაქ ბარინგტონის მცხოვრებმა ქალმა გუბურის ფსკერზე იპოვა ბეჭედი, რომელიც მისმა მეუღლემ 53 წლის წინ დაკარგა.

1967 წელს 16 წლის სტივ როუელმა გამოსაშვებ საღამოზე შეძენილი ბეჭედი იმ დროს დაკარგა, როდესაც იქვე გუბურა დრიუსში გასართობად ქვებს ისროდა.

როუელმა რამდენიმე წლის შემდეგ უამბო ცოლ კეტის აღნიშნული შემთხვევის შესახებ. ქალი გააკვირვა იმან, რომ მის მეუღლეს არც კი უცდია მისი მოძებნა. ამაზე ქმარმა უპასუხა, რომ მისი პოვნის არ სჯეროდა და იმიტომ.

2019 წელს, მათი ქორწინებიდან 31 წლის თავზე, კეტიმ და მისმა ქალიშვილმა გადაწყვიტეს ბეჭედი მოეძებნათ და ამ საქმეში მეგობარი ჩართეს, რომელსაც ლითონმაძიებელი მოწყობილობა ჰქონდა.

სტივის თქმით, იმ ადგილას, სადაც ბეჭედი ჩაუვარდა, გუბურას სიღრმე დაახლოებით 1,8 მეტრს შეადგენდა, მაგრამ გვალვის გამო მისი სიღრმე 60 სანტიმეტრით შემცირდა.

ძებნის დაწყებიდან რამდენიმე საათში კეტიმ და მისმა გუნდმა რამდენიმე ათეული წლის წინ დაკარგულ ბეჭედს მიაგნო.

– ის ვერ იჯერებდა ამას. ბეჭედი თითზე მეკეთა. ის უბრალოდ გაოგნებული იყურებოდა, – განაცხადა მამაკაცის მეუღლემ.

მამაკაცმა სახლის ადრინდელი მფლობელის დანაზოგი იპოვა და პატრონს დაუბრუნა

ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ ჩიკაგოში მამაკაცმა სახლი შეიძინა და მის სასტუმრო ოთახში მისი ადრინდელი მფლობელის მიერ გადანახულ ფულს მიაგნო.

ჯიმ დოუ ბოლო ხუთი წელია იმ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვითაა დაკავებული, რომელიც შეკეთების სამუშაოებს საჭიროებს. როდესაც ის ახლად შეძენილი ბინის შეკეთებას შეუდგა, რომელიც გლორია კარტერისგან გამოისყიდა, ერთ-ერთ ოთახში იპოვა ხუთი კონვერტი, რომლებშიც ფული იყო. საერთო ჯამში, მათში 10 ათასი დოლარი იდო.

– აქამდე ასეთ რამეს არასოდეს გადავწყდომივარ, – აღიარა დოუმ, – როდესაც ვნახე, გავოგნდი.

ფული სხვადასხვა ადგილას იყო გადამალული, მათ შორის დივნისა და კედელზე ჩამოკიდებული სურათის ჩარჩოს უკან.

– ეს ყოველივე დაუჯერებლად გამოიყურებოდა, – ყვება ამერიკელი, – ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ რომელიღაც რეალითი-შოუს მონაწილე ვიყავი.

მამაკაცი დაუკავშირდა კარტერს, რომელმაც აღნიშნულ სახლში 50 წელი იცხოვრა და ნაპოვნი ფული დაუბრუნა.

– მიმაჩნია, რომ ქვეყანაზე უამრავი პატიოსანი ადამიანია და მე ერთადერთი არ ვარ, ვინც ასევე მოიქცეოდა, – აღნიშნა დოუმ.

კარტერის ოჯახმა დოუს ჯილდო შესთავაზა მისი კეთილი საქციელისთვის, მაგრამ მან ამაზე უარი განაცხადა.

ქალმა ქორწილის წლისთავი იზეიმა და გამილიონერდა

ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ რიჩმონდში, ქალმა შვილისგან საჩუქრად ლატარიის ბილეთი მიიღო და მალე მილიონერი გახდა.

შარონდაროუს გუდ-ბეროუზმა ქორწილის წლისთავი აღნიშნა და ზეიმის შემდეგ შეამოწმა შვილის მიერ ამ დღესთან დაკავშირებით ნაჩუქარი ლატარიის ბილეთი. მან დამცავი ფენა გადაფხიკა და აღმოაჩინა, რომ მილიონი დოლარი მოიგო.

– მასზე ეწერა მილიონი დოლარი, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რომ ეს ჩემი მოგება იყო, – იხსენებს ქალი, – ეს ყოველივე ვერ დამიჯერებია! დღემდე ვცდილობ, გონს მოვიდე და დავიჯერო, რომ მოგება ჩემია.

გუდ-ბეროუზს ლატარიის ორგანიზატორებმა ორი ვარიანტი შესთავაზეს: მილიონი დოლარი 30 წლის მანძილზე ნაწილ-ნაწილ მიეღო, ან გადასახადების გადახდის შემდეგ 602 ათასი დოლარი გამოეტანა. ქალმა მეორე ვარიანტი აირჩია. მას ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ როგორ გამოიყენებს მოგებულ თანხას.

მოსწავლემ სამმეტრიანი პითონისგან თავის დაღწევა შეძლო

ინდოეთის კარნატაკას შტატში 10 წლის მოსწავლემ სამმეტრიანი პითონის თავდასხმის მოგერიება შეძლო.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც ბიჭი ინდუისტურ მონასტერში მიდიოდა. შესასვლელთან მას მოუწია გადაეიჯვებინა სანიაღვრე არხზე, რომელსაც დამცავი ბადე დაზიანებული ჰქონდა. ამ დროს იქიდან გველი ამოიჭრა და ბავშვს ფეხზე შემოეხვია.

– ის თავის დაღწევას ცდილობდა, მეორე ფეხის დახმარებით ცდილობდა მის მოშორებას, – ყვება ბიჭის მამა, – მათი ბრძოლა დაახლოებით ხუთ წუთს გაგრძელდა. გველმა მისთვის მარჯვენა ფეხზე კბენა მოასწრო, რის შემდეგაც უკანვე სანიაღვრე არხში ჩაძვრა.

ბიჭს ქვეწარმავლის კბენა არ უგრძნია და მეზობლების გასაფრთხილებლად გაიქცა. მას შემდეგ, რაც მამამ შენიშნა, რომ ბავშვს ფეხიდან სისხლი სდიოდა, ის ექიმთან წაიყვანა. შემთხვევის ადგილზე გველებზე მონადირე გამოიძახეს, რომელმაც დაახლოებით სამი მეტრის სიგრძის პითონი სანიაღვრედან ამოიყვანა, დასახლებული პუნქტიდან მოშორებით წაიყვანა და ბუნებაში გაუშვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მურმან ჯინორია, ლაშა ღლონტი და დავით არჩვაძე ერთობლივ კონცერტს გამართავენ



მსახიობი მურმან ჯინორია და მომღერლები ლაშა ღლონტი და დავით არჩვაძე ქუთაისში ერთობლივ კონცერტს გამართავენ.

15 ოქტომბერს თეთრ ხიდზე ხელოვანები შეკრებილი საზოგადოებისთვის დაუვიწყარ საღამოს მოაწყობენ.

საღამო საქართველოს ტურნეს მოეწყობა. კონცერტი ღია ცის ქვეშ ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების სრული დაცვით ჩატარდება და მასზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

153 საკრავის კატალოგი გამოცემულია

საქართველოში პირველად გამოიცა 153 საკრავის ორენოვანი კატალოგი. პროექტი ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღე-

რისა და საკრავების მუზეუმისა და ფონდ „ქართული გალობის“ ერთობლივი პროექტია. ახალი ორენოვანი გამოცემა საერთაშორისო სამუზეუმო სტანდარტების მიხედვით ქართველი და უცხოელი სპეციალისტების ერთობლივი ძალისხმევით მომზადდა.

წიგნი შედგება ფოტოალბომისა და კატალოგისაგან და მასში წარმოდგენილია ქართული, აღმოსავლური და ევროპული, მათ შორის, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების საკრავებიც.

საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაში მონაწილეობს

საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ლიტერატურულ პროგრამაში იღებს მონაწილეობას.

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია და მწერალთა სახლი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ლიტერატურული პროგრამის ფარგლებში ორი ღონისძიებით წარდგება.

წელს კოვიდ 19-ის პანდემიიდან გამომდინარე, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა ფიზიკური სახით აღარ ტარდება. ღონისძიებების ნაწილი ქალაქის სხვადასხვა ლიტერატურულ, კულტურულ-სახელოვნებო სივრცეში იმართება, ნაწილი კი – ონლაინ სივრცეში.

15 ოქტომბერს ბერლინში მცხოვრები ქართველი მწერალი იუნონა გურული ლიტერატურის მოყვარულებს თავის ახალ წიგნს წარუდგენს, მოდერატორობას მას გერმანელი ლიტერატორი სუზან შმიდტი გაუწევს.

17 ოქტომბერს საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე ონლაინ რეჟიმში საქართველოს და ქართული ლიტერატურის შესახებ ქართველი მწერლების მონაწილეობით გადაღებული მოკლე ფილმის ჩვენება გაიმართება. ფილმში მონაწილეობენ ზურაბ ქარუმიძე, სალომე ბენიძე, დინა ოგანოვა, დავით გაბუნია და არჩილ ქიქოძე.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა ტრადიციულად ინარჩუნებს გლობალური საგამომცემლო ინდუსტრიის ჰაბის ფუნქციას და წელს გამომფენებს უნიკალურ ელექტრონულ პლატფორმას სთავაზობს. ეს პლატფორმა სხვადასხვა ქვეყნის საგამომცემლო სექტორის ვირტუალურ სივრცეებს აერთიანებს და საგამომცემლო საქმის პროფესიონალებს საშუალებას აძლევს ერთ სივრცეში გაეცნონ ინფორმაციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წიგნის ბაზრის, მათი თავისებურებების შესახებ. დაინტერესებული დამთვალიერებელი პლატფორმაზე ქართული წიგნის ბაზრის ვირტუალურ სივრცესაც მიაკვლევს.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა მსოფლიოში უდიდესი წიგნის ბაზრობაა, რომელშიც ყოველწლიურად ათასობით გამომცემელი და ავტორი იღებს მონაწილეობას. საქართველო 2007 წლიდან ტრადიციულად, ყოველწლიურად მონაწილეობს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ეროვნული სტენდითა და მრავალფეროვანი ლიტერატურული პროგრამით.

2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარდგა და ლიტერატურული და საგამომცემლო პროგრამის ფარგლებში ქართულ ლიტერატურასა და კულტურას არაერთი ღონისძიება მიეძღვნა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კრუიფის შეგირდები

იოჰან კრუიფს მხოლოდ 2 გუნდი ჰყავს გაწვრთნილი, ამსტერდამის აიაქსი და ბარსელონა. აღსანიშნავია, რომ მისი „დრიმ-თიმიდან“, თითქმის ყველა ფეხბურთელმა სამწვრთნელო კარიერა დაიწყო. ზოგმა წარმატებით, ზოგმაც – წარუმატებლად.

ესპანური მედია გვთავაზობს მწვრთნელების სიას, რომლებიც პირადად ჰოლანდიელს ჰყავს გაწვრთნილი.

ხონაღდ კუმანი

კუმანისა და კრუიფის პირველი გადაკვეთა აიაქსში შედგა, 85-86 წლების სეზონში, კრუიფი კუმანს ლიბეროდ ათამაშებდა. მეორედ ბარსელონაში შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც კუმანი შეუცვლელი წევრი გახდა.

ჰეპ გვარდიოლა

ალბათ, კრუიფის საუკეთესო მოსწავლე. ჯერ კიდევ 1990 წელს ანდო ადგილი სასტარტო შემადგენლობაში, შემდგომ კი გუნდის ხერხემლად ჩამოყალიბდა. გვარდიოლა იდეალურად ახერხებდა როგორც შეტევის, ისე დაცვის ორგანიზებას. მას ყოველთვის ეტყობოდა, რომ მწვრთნელი გახდებოდა, მაგრამ ბევრი ვერ წარმოიდგენდა, რომ რევოლუციონერი იქნებოდა.

ფრანკ რაიკარდი

კრუიფი მას აიაქსის შემადგენლობაში წვრთნიდა. შემდეგ კი, სწორედ იოჰანის რჩევით დანიშნეს ბარსელონას მწვრთნელად, რასაც გუნდის გამოცოცხლება და ტრიუმფი მოჰყვა. როგორც წესი, იმ პერიოდის ბარსელონადან ფეხბურთელებს უფრო აქებენ, ვიდრე რაიკაარდს, მაგრამ მისი გაწეული სამუშაო ფასდაუდებელია, საწყისი 3 წელი წარმატებული იყო, შემდგომი 2 წელი წარუმატებელი, ზუსტად ისე, როგორც რონალდინოს შემთხვევაში. ორივემ 5 წელი დაჰყო კლუბში და ამიტომ ხშირად ამბობენ, რომ მისი წარმატება და წარუმატებლობა, მთლიანად ბრაზილიელზე იყო დამოკიდებული.

მარკო ვან ბასტენი

კრუიფი მარკოს აიაქსში წვრთნიდა, ვან ბასტენზე ხშირად ამბობენ, რომ ვისაც ცოცხლად არ უნახავს მისი თამაში, ესე იგი მისი შესაძლებლობების ნახევარიც არ იცისო. ამას ამბობენ იმიტომ, რომ მუდმივად კარნახობდა თანაგუნდელებს, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო შეტევა. კარნახი უმეტესად საყრდენი ზონის ფეხბურთელებს და მეკარეს ახასიათებთ, თავდამსხმელისგან ასეთი უნარი იშვიათია. მისი სამწვრთნელო კარიერის პიკი ჰოლანდიის ნაკრებში იყო, ევრო 2008-ზე.

ერნესტო ვალვერდე

ვალვერდე კრუიფის ბარსას წევრი იყო, მაგრამ უთამაშებლობის გამო ბილბაოში წავიდა. მისი სათამაშო სტილი და მენტალობა, ზუსტად შეეფერება ბასკებს, აი, ბარსასთან კი, არანაირი საერთო არ ჰქონია. თუმცა, კრუიფი აღნიშნავდა, რომ ვალვერდეს მწვრთნელისთვის დამახასიათებელი თვისებები ჰქონდა.

ეუსებიო საჯრისტანი

ეუსებიოს კრუიფი ბარსაში წვრთნიდა, მას ცრუ მარჯვენა მცველს უწოდებდა, რადგან როცა მარჯვენა მცველად აყენებდა, ეუსებიო დაცვის გარდა ყველაფერს აკეთებდა. მოგვიანებით ეუსებიო რაიკაარდის სამწვრთნელო გუნდში იყო, წვრთნიდა ბარსა ბ-ს, რეალ სოსიედადსა და ჟირონას.

ხოსე-მარი ბაჯერო

ბაკერო ვერ გამოდგა ისეთი მწვრთნელი, როგორიც ფეხბურთელი იყო, არადა დიდ მწვრთნელობას უწინასწარმეტყველებდნენ. ის კრუიფის გუნდის კაპიტანი იყო და გარდა კარგი ტექნიკური არსენალისა, ბრძოლისუნარიანობითაც გამოირჩეოდა. იყო რონალდ კუმანის თანაშემწე ვალენსიაში მუშაობის დროს, მაგრამ წარმატებისთვის არ მიუღწევიათ.

სერჯი ბარხუანი

არავის უფიქრია, რომ მისგან დიდი მწვრთნელი დადგებოდა, ისიც კი არ უფიქრია არავის, რომ საერთოდ მწვრთნელი გახდებოდა. მან კრუიფის ხელში 3 წელი გაატარა სათადარიგოთა სკამზე.

მიქაელ ღაუდჩუპი

მიუხედავად იმისა, რომ კრუიფთან რთული ურთიერთობა ჰქონდა, ვარსკვლავად სწორედ მის ხელში ჩამოყალიბდა. ერთხელ მიშელ პლატინიმ ასეთი რამ თქვა – ლაუდრუპი რომ ისე თამაშობდეს, როგორც ვარჯიშობს, ჩემზე უკეთესი იქნებოდაო. ისინი ერთად თამაშობდნენ იუვენტუსში და ამ სიტყვით მიშელმა მის სუსტ მენტალობას გაუსვა ხაზი. ლაუდრუპის გუნდები ლამაზ ფეხბურთს თამაშობდნენ, მაგრამ მისი მაქსიმუმი კოპა დელ რეის ფინალი იყო, ხეტაფესთან ერთად.

„ჩაპი“ ფეხერი

კიდევ ერთი მწვრთნელი „დრიმ-თიმიდან“ და ასევე წარუმატებელი. „ჩაპიმ“ ჩელსიში და ვიტესში მოსინჯა ძალები, მაგრამ ბევრი არაფერი გამოუვიდა.

ონესიმო

„დრიმ-თიმის“ კიდევ ერთი წევრი, მას კლუბის ისტორიაში დიდი კვალი არ დაუტოვებია, მწვრთნელობაც საკმოდ დაბალ დონეზე დაიწყო და მისი საუკეთესო გუნდი, ალბათ სელტას მეორე გუნდი იყო.

ხოხდი ჯრეიფი

ხორდი რთული ხასიათით გამოირჩეოდა, მას მუდმივად აკრიტიკებდნენ იმიტომ, რომ მამას ადარებდნენ, ამ პირობებში თამაში კი შეუძლებელი იყო. ამის მიუხედავად, ფსიქოლოგიური სიმტკიცით მაინც გამოირჩა. გარდა მამასთან კონფლიქტებისა, ასევე რთულად წაუვიდა საქმე სერ ალექს ფერგიუსონთან, რომელიც მანჩესტერში იშვიათად ათამაშებდა. სამწვრთნელო კარიერა აღმოსავლეთში დაიწყო და იქვე აგრძელებს, აზიის ჩემპიონთა ლიგის თამაშების დროს, ხშირად აქვს ურთიერთობა ჩავი ერნანდესთან, რომელიც ხორდის სამომავლოდ სამწვრთნელო გუნდში მოიაზრებს.

ხრისტო სტოიჩკოვი

ხრისტო ძალიან მაგარი ფეხბურთელი იყო და ძალიან ცუდი მწვრთნელი. რაღაც ხანი წვრთნიდა ბულგარეთის ნაკრებს და სელტას, მაგრამ თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა.

დენი ბერგკამპი

კრუიფი აიაქსში წვრთნიდა, შემდეგ ჰოლანდიის ნაკრები ჩაიბარა. რამდენჯერმე მუშაობდა თანაშემწედ. ჰოლანდიის ნაკრების აღმასვლა მას არ უკავშირდება, პირიქით, ყველაზე რთულ დროს ჩაუდგა სათავეში და საკმაოდ უსახური გუნდი ჰყავდა.

ხენენ ლოპეტეგი

ის ბარსას მეკარე იყო, ისტორიაში კი ერთ-ერთი ყველაზე სულელური გადაწყვეტილებით შევიდა, როცა მსოფლიო ჩემპიონატის წინ, მადრიდის რეალთან გააფორმა კონტრაქტი, ამიტომ მუნდიალის წინ გადააყენეს, ნაკრებმა ასეთი სწრაფი ცვლილების გამო კრახი განიცადა, თავადაც მალევე გააგდეს რეალიდან.

სამაგიეროდ უეფას თასი მოიგო სევილიასთან ერთად, რაც მარტივი არ ყოფილა, რადგან ნახევარფინალში მანჩესტერი დაამარცხა, ხოლო ფინალში – ინტერი.

კრუიფის პირადი მოსწავლეებიდან მწვრთნელობა ასევე დაიწყეს: ოსკარ გარსიამ, აბელარდომ, იან ვოტერსმა, კრისტობალ პარალომ და ალბერტ სელადესმა.

ფეხბურთი

13 ოქტომბერი

ფეხბურთი

უეფას ეროვნული ლიგა

ა დივიზიონი

გერმანია-შვეიცარია	3:3
უკრაინა-ესპანეთი	1:0

ც დივიზიონი

აზერბაიჯანი-კვიპროსი	0:0
ჩერნოგორია-ლუქსემბურგი	1:2

დ დივიზიონი

ლატვია-მალტა	0:1
ლიხტენშტეინი-სან მარინო	0:0
ფარერები-ანდორა	2:0

მრ-2022. საკვალიფიკაციო ეტაპი

ს.ამერიკა

ბოლივია-არგენტინა	1:2
ეკვადორი-ურუგვაი	4:2
ვენესუელა-პარაგვაი	0:1
პერუ-ბრაზილია	2:4
ჩილე-კოლუმბია	2:2

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

გიორგი მიქაუტაძე: „ჩემი გოლების საიდუმლო ბევრი შრომაა“

გიორგი მიქაუტაძე 2000 წელს საფრანგეთის ქალაქ ლიონში დაიბადა და, ცხადია, იქაური მოქალაქეა.

7 წლამდე თამაშობდა კლუბ გერლანდში, ხოლო 8 წლიდან ლიონის ოლიმპიკის საფეხბურთო აკადემიაში ჩაირიცხა. იქ 15 წლამდე დაჰყო და ას პრიესტში გადავიდა.

17 წლისამ ლიგა 1-ის კლუბ მეცთან გააფორმა კონტრაქტი. თუმცა, საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში მხოლოდ 8 წუთი ითამაშა ნიცას წინააღმდეგ.

ამჯერად ბელგიაშია – მეცმა პირველლიგელ სერენში გაანათხოვრა. 6 ტურის შემდეგ გუნდი პირველ ადგილზეა, მიქაუტაძე კი ბომბარდირთა დავას 12 გოლით ლიდერობს. აღსანიშნავია, რომ მის უახლოეს მდევარს, მხოლოდ 4 გოლი აქვს შეგდებული.

როგორც ირკვევა, მიქაუტაძეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ეკონტაქტებიან და მისი ჩვენი ქვეყნის ნაკრებში თამაში სურთ. საამისოდ, მიქაუტაძის თანხმობა და ქართული პასპორტია საჭირო.

ეს დროის ამბავია, მანამდე მიქაუტაძის ინტერვიუ, რომელიც ბელგიურ პრესაში გამოქვეყნდა.

– როგორ შეაფასებთ სეზონის სტარტს?

– სეზონის სტარტი ძალიან კარგია, როგორც კლუბისთვის, ისე ჩემთვის – 6 მატჩში 12 გოლი გავიტანე, ძალიან კარგი შედეგია. სერენი ლიგას ლიდერობს, მეტი რა უნდა იყოს, რომ სტარტი პოზიტიურად შევაფასო?

– ელოდით, რომ ასეთი პროდუქტიული იქნებოდით?

– ალბათ, ასეთ დონეზე არა... არ ვიცი. ერთია, დარწმუნებული ვიყავი, რომ გოლები უნდა გამეტანა. ყოველდღიურად ძალიან ბევრს ვშრომობ საამისოდ. ბოლომდე ვიხარჯები ვარჯიშებზე. შრომა კი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოიღებს შედეგს. ახლა სწორედ ასე მოხდა.

– ფეხბურთელი, რომელსაც ამდენი გოლი გააქვს, თავის თავში დარწმუნებული უნდა იყოს.

– არ ვიცი, როგორ აგიხსნათ. ვიცი, რომ თუ ვარჯიშებზე ყველაფერი კარგად მიდის, თამაშის დროსაც წარმატებული ვარ. პირველ ტურში 4 გოლი გავიტანე, ამან მომცა ჩემი ძალების რწმენა. შესაძლოა, ეს გადაედო მთელ გუნდსაც.

– როგორ წარიმართა თქვენი ინტეგრაცია კლუბში?

– სერენს იოლად შევეწყვე. როცა მე და ჩემმა აგენტმა ფილიპ გაილომ პირველად ვილაპარაკეთ იჯარაზე, მალევე დადებითად განვეწყე ამ ვარიანტზე. დავინახე შანსი, რომ მექნებოდა ბევრი სათამაშო დრო თავის გამოსაჩენად. კლუბმა, მწვრთნელმა და სხვა ფეხბურთელებმა, ყველამ კარგად მიმიღო. ის, რომ გუნდში მეცის ბევრი ფეხბურთელია, დამატებითი ბონუსია. ასეთი სტარტის შემდეგ კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე, იმედია, ყველაფერი ასე გაგრძელდება.

– თქვენ გოლები გაგაქვთ, კლუბი ლიდერობს, შეიცვალა მიზნები?

– დიახ, კლუბში ხანდახან ვლაპარაკობთ სატურნირო მდგომარეობაზე, მაგრამ ყველა მყარად ვართ მიწაზე და ვიცით, რომ რეალობას არ უნდა დავშორდეთ. კლუბის მიზანი, ისევ ძველია, პროქსიმუს ლიგაში ადგილის შენარჩუნება. თუმცა, ამბიციები გაგვაჩნია და ეს სავსებით ნორმალურია.

– ყველაფერი კი მეცთან ამხანაგური თამაშით დაიწყო.

– შესაძლოა, ასეც არის. ჩვენი დიდი ხნის პაუზის შემდეგ პირველად ვითამაშეთ. გამოვედი მეცის წინააღმდეგ და გავიტანე. მართალია, 1:4 წავაგეთ, მაგრამ შესაძლოა, ამ გოლმა ბევრი რამ შეცვალა ჩემში.

– რა არის თქვენი გოლების საიდუმლო?

– ყოველთვის ვცდილობ მაქსიმალურად გამოვიყენო ყველა შანსი და იმდენი გოლი გავიტანო, რამდენის საშუალებასაც მეტოქე მომცემს, ანგარიშს საერთოდ არ ვაქცევ ყურადღებას. მინდა შევინარჩუნო ეს სტაბილურობა. ჩემი გოლების საიდუმლო? ძალიან ბევრი შრომა.

ახალგაზრდულ ნაკრებს მესამე ადგილის შანსი აქვს

საქართველო-აზერბაიჯანი 1:0

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 გულიაშვილი (42)

საქართველო: მამარდაშვილი, ლაკვეხელიანი, კობოური, ლოჩოშვილი (გელაშვილი 68), ბურჯანაძე (ანდრონიკაშვილი 82), სილაგაძე (აზაროვი 75), სამურკასოვი, კუცია (მექვაბიშვილი 46), დარცმელია, გულიაშვილი, სპანდერაშვილი (კუხიანიძე 46)

აზერბაიჯანი: იბრაჰიმოვი, თამაზოვი, კაპლანი, რ.აჰმადოვი, ჰუსეინი, ს.აჰმადოვი (ბაირამოვი 58), ველიზადე, ს.აბდულაზადე (რ.აბდულზადე 90), ეკინჩიერი (ჯაფარგულიევი 58), ოკსუზი (ილდირიმი 77), კოკჩუ (ინგიაბლი 90)

გაძევება: ვალიზადე (77)

საქართველო ფავორიტად ითვლებოდა. ეს სტატუსი გაამართლა და თითქოს უკმაყოფილების საფუძველიც არ უნდა გვქონდეს, მაგრამ ანგარიში უკეთესის სურვილს ტოვებდა.

სტუმრები პირველივე წუთებიდან დაცვაში ჩასხდნენ, ბურთს მასპინძლები აკონტროლებდნენ. თავდასხმაში ნუგზარ სპანდერაშვილი და გიორგი გულიაშვილი იყვნენ გამწესებული და სწორედ მათი აქტიურობის შემდეგ გულიაშვილს ანგარიშის გახსნა შეეძლო. მალევე გულიაშვილის პასით ბექა დარცმელიამ საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა სახიფათოდ.

ანგარიშის გახსნა 35-ე წუთზე დავით სამურკასოვსაც მართებდა, როცა გიორგი კუციას მიერ ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი კარიდან 6-7 მეტრში მყოფმა მიზანს აცილა.

ერთ ეპიზოდში აზერბაიჯანელების სწრაფ კონტრიერიშს, ჩვენებმა ხელი ვერაფრით შეუშალეს და დოგუკან ოკსუზის სახიფათოდ დარტყმული მამარდაშვილმა ნახტომში კუთხურზე მოიგერია.

შესვენებაზე საქართველოს ნაკრები უგოლოდ მაინც არ გასულა. 42-ე წუთზე ლუკა ლაკვეხელიანის პასით ანგარიში გულიაშვილმა გახსნა – 1:0.

მეორე ტაიმი მაისურაძემ 2 ცვლილებით დაიწყო. ვითარება გამოსასწორებელი აზერბაიჯანელებს ჰქონდათ და შეტევაზე გააკეთეს აქცენტი, ჩვენები კი მათ შეცდომებს ელოდნენ და სწრაფ კონტრშეტევებზე აკეთებდნენ აქცენტს. შედეგად თამაში გაიშალა და საყურებლად უფრო უკეთესი გახდა. დარცმელიამ ლაკვეხელიანი გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, რომელიც საჯარიმოში შეიჭრა და სახიფათოდაც დაარტყა, მაგრამ სტუმრები გადარჩნენ. კიდევ რამდენიმე წუთში შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა შეუქმნეს ხიფათი სტუმრებს – 10-წუთიან მონაკვეთში ანზორ მექვაბიშვილი ორჯერ დაემუქრა იბრაჰიმოვის კარს, ერთხელაც სერგო კუხიანიძემ აიცილა მცირედით მიზანს.

77-ე წუთზე არბიტრმა მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა თურან ვალიზადას და აზერბაიჯანი 10 ფეხბურთელით დარჩა მოედანზე. ცუდია, რომ ამით ვერ ისარგებლეს ჩვენმა ფეხბურთელებმა და ანგარიშში სხვაობა ვეღარ გაზარდეს.

85-ე წუთზე კუხიანიძეს და გულიაშვილს უნდა გაეტანათ – მათ სწრაფი იერიშისას ნაღდი საგოლე ეპიზოდი შეექმნათ, თუმცა ჯერ სტუმართა მეკარემ, ხოლო შემდეგ მცველმა ქართველებს ანგარიშის შეცვლის საშუალება არ მისცეს.

ჩვენებს ჯგუფში ერთი მატჩი დარჩათ ჩასატარებელი, შინ, სლოვაკეთთან და მესამე ადგილის დაკავების დიდი შანსი.

სატურნირო ცხრილი:

1.შვეიცარია	8	8	0	0	23-4	24
2.საფრანგეთი	8	7	0	1	24-9	21
3.საქართველო	9	4	0	5	15-13	12
4.სლოვაკეთი	8	3	0	5	15-19	9
5.აზერბაიჯანი	9	2	0	7	5-16	6
6.ლიხტენშტაინი	8	1	0	7	3-24	3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 2. ბიბლიის ნაწილი; 3. ტკბილეული დესერტი; 4. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 5. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 8. ბროწეულისგან მომზადებული საწებელა; 12. საზღვაო გადაზიდვების პირობების შემცველი ხელშეკრულება; 13. ინდური ეპიკური პოემა; 14. სატანვარჯიშო იარაღი; 16. მუნჯი კინოს აკომპანიატორი პიანისტი; 18. ყველაზე წყალუხვი მდინარე აფრიკაში; 20. ღვინის პატარა ქვევრი.

თარაზულად: 6. პოპულარული უკრაინული მინერალური წყალი; 7. მითოლოგიური „მარადიული ურია“; 8. წიაღისეულის მომპოვებელი, სამთო საწარმო; 9. იტალიური სამოდელო ფირმა; 10. მსახიობის პატივსაცემად გამართული წარმოდგენა; 11. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს; 15. იტალიელი პოლიციელი; 17. ეთიოპიელი მარათონელი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 19. კურორტი, ნავსადგური აზერბაიჯანში; 21. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 22. იაპონური რესტორანი; 23. მძაფრი გემოს მქონე ფრანგული ყველი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ახტალა; 2. სოჭი; 3. ჰამილტონი; 4. ცეკვა; 5. კაპრიზი; 8. პანედა; 9. პალესტინა; 12. იშხანი; 14. ალმასი; 16. იგავი.

თარაზულად: 1. ანტრესოლი; 6. ზარზუელა; 7. ტყაპუჭი; 9. პუჩინი; 10. ხაში; 11. ბეითალი; 13. მუაში; 15. უშქარი; 17. დიპლომი; 18. ჯაპანა; 19. ფაუსტი; 20. ლიტანია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შინ ჯუკუ; 2. მატაბელი; 3. ინტელი; 4. ლიოვი; 5. მისისიპი; 8. კერატიტი; 12. სუმო; 13. აკუსტიკა; 14. არქივი; 16. ლიზინგი; 18. ხვიჩია; 20. არგო.

თარაზულად: 6. ვიქტორია; 7. მონოტიპი; 8. კოპალა; 9. ბურჟე; 10. ნეისმიტი; 11. პლესეცკი; 15. აკრატოფორი; 17. ვოლსკი; 19. ველასკესი; 21. ჭიამაია; 22. სამშვილდე; 23. რონდელი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2209

ევრო — 3.7968

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2042

100 რუსული რუბლი — 4.1781

ამინდის პროგნოზი 15 ოქტომბრისათვის

ტომას პარტეი: „არსენალში ბევრი გეგმა მაქვს“

არსენალის განელმა ახალწვეულმა ტომას პარტეიმ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ბევრი გეგმა აქვს არსენალში და შეეცდება, რომ გუნდს წარმატების მიღწევაში მაქსიმალურად დაეხმაროს.

პარტეი უკვე ესაუბრა მთავარ მწვრთნელ მიკელ არტეტას და დარწმუნებულია, რომ არტეტას დიდი პოტენციალი აქვს:

– ვიცი, რომ არსენალი დიდი გუნდია და მათ მდიდარი წარსული აქვთ, თუმცა ახლა მთავარია, რა მოხდება მომავალში და მინდა, რომ ეს გუნდი ისევ წამყვან პოზიციებზე დაბრუნდეს. არტეტას დიდი გეგმები აქვს და მეც მაქსიმალურად დავეხმარები.

ნგოლო კანტე შესაძლოა რეალში გადავიდეს

ლონდონის ჩელსის და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა ნგოლო კანტემ შესაძლოა კარიერა მადრიდის რეალში გააგრძელოს. კანტეს კონტრაქტი 2022 წელს ეწურება და ის ჯერჯერობით მის გახანგრძლივებას არ აპირებს.

გარდა ამისა, კანტეს ურთიერთობა გაუფუჭდა ჩელსის მთავარ მწვრთნელთან ფრენკ ლამპარდთან.

ზიდანს დიდი ხანია სურს კანტეს გადაბირება და მას კარგი შანსი მიეცა.

ელ-კლასიკო 24 ოქტომბერს გაიმართება

ბარსელონას და რეალის პირველი დაპირისპირება წლევანდელ სეზონში 24 ოქტომბერს კამპ ნოუზე გაიმართება. მატჩი თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება და ასეთი ადრეული დასაწყისი აზიელი მაყურებლისთვის არის გათვალისწინებული.

შეხვედრა ცარიელი ტრიბუნების წინ გაიმართება და მატჩის არბიტრი ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

რეალი ამჟამად 4 ჩატარებული შეხვედრის შემდეგ 10 ქულით სატურნირო ცხრილს ლიდერობს, ბარსელონა კი 3 მატჩის შემდეგ 7 ქულით მეორე ადგილზეა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ქალი დუნდულების გადიდებას ემსხვერპლა

ამერიკის ტეხასის შტატში ქალი არალიცენზირებულ კოსმეტოლოგთან უკანონოდ დუნდულების გადიდების ოპერაციის გაკეთების შემდეგ გარდაიცვალა. ახლა ამ უკანასკნელს მკვლელობის ბრალდება ემუქრება.

35 წლის ლატორა კინგმა ათასი დოლარი გადაიხადა დუნდულებში სილიკონის ინექციის გაკეთებაში. მიუხედავად იმისა, რომ თავად 55 წლის კოსმეტოლოგი უარყოფს მის მიერ აღნიშნული პროცედურის ჩატარებას, დაღუპულის ტელეფონში აღმოჩენილი მიმოწერა, საპირისპიროს ამტკიცებს.

რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც კინგმა კოსმეტოლოგს ინექციის თაობაზე მისწერა, მან მასვე გაუგზავნა საკუთარი დეფორმირებული დუნდულების ფოტოსურათი, რომლებზეც სისხლიანი ბინტები ჰქონდა მიკრული. მეორე დილით ოჯახმა ქალი საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც ის მალევე გარდაიცვალა. გაკვეთამ აჩვენა, რომ სილიკონის ინექციამ ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია გამოიწვია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

15 ოქტომბრისათვის

ვერძი – ნებისმიერ საკითხს გონივრულად მიუდექით. საქმე აუჩქარებლად და დაკვირვებით აკეთეთ. **კურო** – ნერვები მოთოკეთ და ეცადეთ, არ გადაიღალოთ. დიდი ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას. **ტყუპები** – მამაკაცების საყურადღებოდ – იკვებეთ სწორად. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე, მოთმინება და სულგრძელობა დღის დევიზია. **კირჩხიბი** – გარშემომყოფებთან სტაბილური ურთიერთობა ყალიბდება. ეს დღე საყვარელი ადამიანების გარემოცვაში გაატარეთ. **ლომი** – წინააღმდეგობრივი პერიოდია. დღის პირველ ნახევარში სასიამოვნო შეხვედრა გელით. საღამოს საკუთარი ქედმაღლობის გამო პრობლემები შეგექმნებათ. **ქალწული** – თავი აარიდეთ ინტრიგან და შურიან ადამიანებთან ურთიერთობას. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის მეგობრებს მიმართეთ. **სასწორი** – დაძაბულობა და გადაღლა ნერვულ სტრესამდე და ავადმყოფობამდე მიგიყვანთ. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **ღრიანკალი** – ილუზიებსა და ცდუნებას ნუ აჰყვებით. გულიდან განაგდეთ ყოველგვარი ბრაზი და ბოღმა. სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **მშვილდოსანი** – ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითებულია. მაქსიმალურად ეცადეთ, გარშემომყოფებთან კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. **თხის რქა** – სულიერ სრულყოფასა და ზნეობრიობაზე იზრუნეთ. წვრილმანებს ნუ გამოედევნებით. **მერწყული** – ნერვებს გაუფრთხილდით. კონფლიქტი გარშემომყოფებთან სტრესსა და შფოთვას გამოიწვევს. დამშვიდდით და მხოლოდ საყვარელი საქმე აკეთეთ. **თევზები** – სიფრთხილე გმართებთ, განსაკუთრებით – მძღოლებს. საქმიან პარტნიორებთან პატარა გაუგებრობაა მოსალოდნელი.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– იმ გოგოს მიყვარხარო, როდის უთხარი, სექსამდე თუ სექსის მერე?

– სექსისთვის.

•••

რესტორანში მამაკაცი ოფიციანტს ეკითხება:

– რაიმე ვეგეტარიანული გაქვთ?

– როგორ არა, ქერის ლუდი, ხორბლის არაყი, ღვინო და კონიაკი ყურძნისგან დამზადებული!

•••

კაცი ქალს ეუბნება:

– შენი სიყვარული მომკლავს!

– მე შენ გაჩვენებ სიკვდილს!... შენ ჩემთან ხანგრძლივი, ბედნიერი და ტანჯვით აღსავსე ცხოვრება გექნება!

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ქმარი ისეთი ნერვიულია! სულ ღრიალებს, ძაღლივით ავია, შენი კი მშვიდი და მხიარული... რას უკეთებ ასეთს?

– ვაძლევ!

•••

ქალი ნაცნობ მამაკაცს აღშფოთებული ეუბნება:

– იცი, გვერდით ქუჩაზე ბოზი მიწოდეს...

– რამდენჯერ გითხარი, იქ არ იარო, სადაც გიცნობენ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

აკა მორჩილაძის ნაწარმოები უკრაინულად ითარგმნა

მწერალ აკა მორჩილაძის რომანი „ძველი გულებისა და ხმლისა“ უკრაინულად ითარგმნა.



პროექტი საქართველოს მწერალთა სახლის მხარდაჭერით განხორციელდა. აკას ერთ-ერთი ძალიან საინტერესო ნაწარმოები უკრაინულად გიორგი არაბულმა თარგმნა.

წიგნის შეძენა მკითხველს უკვე შეუძლია.

ირაკლი მაქაცარია უკრაინული „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურიშია



ქართველი ბიზნესმენი და „პრაიმ შოუს“ წამყვანი ირაკლი მაქაცარია უკრაინული „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურის წევრად მიიწვიეს.

ირაკლი კიევში იმყოფება, სადაც პროექტის მორიგი სეზონი დაიწყო. ირაკლის ამ პროექტთან ხანგრძლივი ურთიერთობა აკავშირებს. წლების წინ ის თავად იყო უკრაინული „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილე, მოგვიანებით კი საკუთარი შესაძლებლობები ქართულ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ გამოავლინა.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ქართულ სეზონში ჟიურის წევრად მიწვევის შემდეგ, ირაკლი უკრაინული „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურის წევრიც გახდა.

„მასტერშეფს“ ლადო დანელია გამოეთიშა

„მაესტერშეფის მეოთხე სეზონის მეორე საკონკურსო ტურიდან შოუს ლადო დანელია გამოეთიშა. ჟიურის წევრების გადაწყვეტილებით, სწორედ მან მოამზადა ყველაზე ცუდი კერძი და ამიტომ შოუს დატოვება მოუწია.

ლადოსთან ერთად გავარდნის კანდიდატები იყვნენ ნატალია და სოლომონი, თუმცა ჟიურიმ ისინი კუთვნილ მაგიდებთან დააბრუნა და კიდევ ერთი შანსი მისცა.

რაც შეეხება საუკეთესო კერძის ავტორს, ის მირიან სულაკაური გახდა და, შესაბამისად, იმუნიტეტიც მოიპოვა.

„მასტერშეფის“ მეოთხე სეზონში გამარჯვებისთვის უკვე 10 კონკურსანტი იბრძვის. ვინ გახდება გამარჯვებული, ამას ჟიური გადაწყვეტს.

„ნიჭიერში“ ხალხის რჩეული ანსამბლი „ჭვანა“ გახდა

შოუ „ნიჭიერის“ პირველ ნახევარფინალისტად მაყურებელმა თავისი რჩეული გამოავლინა. 8 კონკურსანტს შორის მაყურებელმა ყველაზე მეტი ხმა ბათუმის ფოლკლორულ ანსამბლ „ჭვანას“ მისცა.

რაც შეეხება ჟიურის რჩეულს, ის მომღერალი მარიამ ნადიბაიძე გახდა, რომელიც ანრის ოქროს ღილაკის მფლობელია.

„ნიჭიერის“ წამყვანს გია ჯაჯანიძეს მოდელი მარიამ სანოგო შეუერთდა და ამიერიდან ისინი შოუს ნახევარფინალებს ერთობლივად წაიყვანენ.

მომდევნო ნახევარფინალისტებიდან საუკეთესოს მაყურებელი და ჟიური ორშაბათს გამოავლენს.

სცენარისტი და რეჟისორი დავით ჩუბინიშვილი გარდაიცვალა

სცენარისტი, მსახიობი და რეჟისორი დავით ჩუბინიშვილი გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია საქართველოს კინოაკადემიამ გაავრცელა:

– გარდაიცვალა საქართველოს კინოაკადემიის წევრი, სცენარისტი, რეჟისორი, მსახიობი, კინოს სიღრმისეულად მცოდნე, არაჩვეულებრივი, კეთილი, ნიჭიერი, ლამაზი, ძლიერი ადამიანი, ბატონი დავით ჩუბინიშვილი – „ჩუბიკა“.

სითბო, სიღრმე, გემოვნება, დამოკიდებულება, იუმორი, სიკეთე – ყველაფერი გადამდები იყო ბატონი დათოსგან. კიდევ ერთი ღირსეული კაცი დაგვაკლდა, დააკლდა თბილისს და საქართველოს.

ლიკა ქავჟარაძის გარდაცვალებიდან 3 წელი გავიდა

მსახიობ ლიკა ქავჟარაძის გარდაცვალებიდან 3 წელი გავიდა. მსახიობი მისმა კოლეგებმა და ახლობლებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს და ულამაზესი მარიტას უდროოდ გარდაცვალების გამო გულისტკივილი გამოთქვეს.

დრამატურგმა რეზო კლდიაშვილმა კი ლიკა ქავჟარაძის არაამქვეყნიური სილამაზის შესახებ ისაუბრა:

– საიდან მოდის ეს სილამაზე და გენებიდან. დედა – დალი ფალავანდიშვილი, მამა ბესო ქავჟარაძე – ორთავე თბილისში თავისი თაობის აღიარებული ლამაზი წყვილი. ბებია – ულამაზესი, ქიმიის პროფესორი ლია ციციშვილი, არისტოკრატულ ღიმილს დამადევნებდა, დაგვიანებული რომ ავრბოდი ინსტიტუტის კიბეებზე. მოკლედ, გენების პარადი – ბიძა დედის მხრიდან გეიდარ ფალავანდიშვილი. ლიკა თითქმის ჩემს ხელშია გაზრდილი. დედა – დალი ფალავანდიშვილი და მე ერთ ლაბორატორიაში ვმუშაობდით ქიმიის ინსტიტუტში. ლიკაც ხშირად მოდიოდა – ეს დაახლოებით ის დროა, როცა გამოვიდა ლანა ღოღობერიძის „როცა აყვავდა ნუში“, სადაც პატარა ეპიზოდი აქვს – ქუჩაში მოდის აყვავებული ნუშის ტოტით ხელში. ძალიან ვუყვარდით მე და ირინა. ერთხელ სანდრომ და ლიკამ დაგვპატიჟეს თავისთან ჩაიზე. ქალბატონი ნანა დიმიტრიადი – სანდროს დედა როიალთან, ბებია ოპერის ცნობილი მომღერალი ქალბატონი ნადეჟდა ხარაძე. მაგარი დრო გავატარეთ. ვნანობ, არ ვიყავი ისეთი ყურადღებით, როგორიც ჩვენ ურთიერთობებს ეკადრებოდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 2. დაბალყელიანი, რბილი ტყავის ფეხსაცმელი ძველად საქართველოში; 3. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 4. საავტომობილო ძრავის შიგა ცილინდრული, მოძრავი ნაწილი; 5. ფეოდალი მთავრების სახელწოდება შუა საუკუნების საქართველოში; 8. ცხოვრების, შრომის, კვების დადგენილი წესი; 9. წერილობითი ხელშეკრულება; 12. ბერძნული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. მწვანითმოსილი, წყლიანი ადგილი უდაბნოში; 16. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება.

თარაზულად: 1. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 6. ავადმყოფური, ღრმა ძილის მდგომარეობა; 7. პატარა დროშა, ალამი; 9. ჰერმეტული კამერა წყალქვეშა სამუშაოებისათვის; 10. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 11. აღორძინების ეპოქის იტალიელი ფერმწერი; 13. ქიმიური ელემენტი, აირი; 15. ქართული მულტიპლიკაციის ფუძემდებელი; 17. ნითელი ფერის ძველი სახელწოდება; 18. კლიმატური კურორტი ხაშურის რაიონში; 19. გოეთეს ტრაგედია; 20. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა